# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 21 ივლისი. 2018 წ. №146 (8547), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.





4

# შიმშილით სიკვდილს ისევ მაღაროში რისკის ქვეშ მუშაობა სჯობს!

## მიშათუმეობიდან რუსეთუმეობამდე



6

ვახტანგ კიკაბიძე:

## რუსეთი ძალიან მიყვარს!

## როგორ განწკეპლეს ანა დე მერიკური...



3

„ტერაქტი“ ტელეფონით!

# მე ვიქნები ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი მტერი, ვინც კი მას ოდესმე ჰყოლია!

6



7

ფეხბურთი მისი სიცოცხლეა!..

# დრიბლინგის დიდი ოსტატი

# პრემიერმა მღებრიშვილი გაათავისუფლა



**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი გიორგი მღებრიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა.** მათივე ცნობით, მღებრიშვილმა გადადგომის შესახებ განცხადებით პრემიერს გუშინ თავად მიმართა და მამუკა ბახტაძემ განცხადება დააკმაყოფილა.

## დაკავებულ არასრულწლოვანს ბრალი წაუყენეს

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ არასრულწლოვანს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. დ.ღ.-ს დედა ამბობს, რომ მის შვილს ცრუ ჩვენება არ მიუცია და შესაბამისად, ის ბრალს არ აღიარებს.

**„არავითარი ცრუ ჩვენება არ მიუცია. ყველაფერს სასამართლოში ისაუბრებს. ბრალს არ აღიარებს. სასამართლოზე ის თქვა, რაც მოხდა და დაინახა“,** — განაცხადა დ.ღ.-ს დედამ.

რაც შეეხება ბრალის შესაძლო დამძიმებას, რაზეც მოკლული დავით სარალიძის მამა ზაზა სარალიძე საუბრობს, არასრულწლოვანის მშობელი ამ ინფორმაციას მცდარს უწოდებს.

* * *

**თუ შესაბამისი მტკიცებულებების შეკრებას შევძლებთ, რა თქმა უნდა, სხვა პირების დაკავებაც არაა გამორიცხული,** — განაცხადა შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა ხორავას ქუჩაზე, მოზარდების მკვლელობის საქმეზე ერთი არასრულწლოვნის დაკავების კომენტირებისას. მისი თქმით, ერთ-ერთი არასრულწლოვანი მოწმის დაკავება მოხდა შსს-ს მიერ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში და აღნიშნულ პიროვნებას პროკურატურამ ბრალი წარუდგინა.

**„გამოძიება სხვადასხვა მიმართულებით გრძელდება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ მოვლენების არც ერთი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას, ამის შესახებ არაერთხელ ვთქვით და ამის ნათელი დასტურია გუშინდელი დაკავების ფაქტი“,** — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

## სმიტების ოჯახი სამშობლოში გადაასვენეს

**ხადას ხეობაში 4 ივლისს მოკლული სმიტების ოჯახის სამშობლოში გადასვენების ხარჯები აშშ-ის საელჩომ უზრუნველყო. რაიან და ლორა სმიტების და მათი ვაჟიშვილის ცხედრებს სამშობლოში კიევის გავლით ჩაასვენებენ.**



შსს-ის ინფორმაციით, შსს-მ ხადას ხეობაში სმიტების ოჯახის მკვლელობისთვის მალხაზ კობაური დააკავა. დაკავებულს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის გასარკვევად ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩატარდება.

# გამოთხოვება დემურ მიქაძესთან



იხ. 8-9 გვ.




# მამუკა ბახტაძემ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს, ევროკომისარს ევროპული და სოციალური დიალოგის საკითხებში ვალდის დომბროვსკის შეხვდა.**

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე ისაუბრეს. საქართველოს ისტორიულ წარმატებად შეფასდა ვიზალიბერალიზაციის ამოქმედება, ასევე, ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელსაც ქვეყანამ ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში მიაღწია.

პრემიერ-მინისტრმა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის 40 მილიონი ევროს გამოყოფისთვის მადლობა გადაუხადა და მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილის მნიშვნელოვან გაზრდას ისახავს მიზნად.

ხაზი გაესვა საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და აღინიშნა, რომ მის კიდევ უფრო გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მართლმსაჯულების სისტემაში დაგეგმილი რეფორმა, რომელიც სასამართლოებში კომერციული პალატების შექმნას გულისხმობს. ქართულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, ამ პროცესში ევროკავშირისა და დასავლელი პარტნიორების წარმატებული გამოცდილება გაიზიაროს.

საუბარი შეეხო განათლების სისტემაში დაგეგმილ ძირეულ რეფორმებს, რომელთა განხორციელება, პრემიერის შეფასებით, ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყანაში მეტი უცხოური ინვესტიციის განხორციელებას. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ევროპელი პარტნიორების მხრიდან დადებითად შეფასდა. ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მამუკა ბახტაძემ ვალდის დომბროვსკის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იგი საქართველოში მიიწვია.

# ივანე მაჭავარიანი აზიის განვითარების ბანკის მუდმივ წარმომადგენელს შეხვდა



**ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მუდმივ წარმომადგენელთან საქართველოში იეშიმ ელჰან კაილართან.**

შეხვედრაზე ვრცლად მიმოიხილეს ADB-ის დაფინანსებით საქართველოში მიმდინარე პროექტები და ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები.

აზიის განვითარების ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ივანე მაჭავარიანს მიულოცა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა და გამოთქვა მზაობა, მთავრობასთან ერთად გაგრძელდეს აქტიური თანამშრომლობა ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდასაჭერად.

მხარეებმა მაღალი შეფასება მისცეს მიმდინარე წლის ივნისში აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტის ტაკეჰიკო ნაკაოს საქართველოში პირველ ვიზიტს და აღნიშნეს, რომ თბილისში გამართული შეხვედრები ხელს შეუწყობს, ADB-სთან თანამშრომლობა გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე. ყურადღება გამახვილდა 2019-2021 წლების თანამშრომლობის სფეროებზე, რომელთა შორის პრიორიტეტულად დასახელდა განათლების სექტორი, სადაც აზიის განვითარების ბანკი მზადაა, აქტიურად ჩაერთოს მომავალი რეფორმის განხორციელების პროცესში.

# „საპარტნიორო ფონდის“ დელეგაცია ჩინეთში საქმიან შეხვედრებს მართავს

**„საპარტნიორო ფონდის“ დელეგაცია ფონდის აღმასრულებელი დირექტორის დავით საგანელიძის ხელმძღვანელობით, ოფიციალურ ვიზიტში ჩინეთის რეფორმებისა და განვითარების კომიტეტთან არსებული ტექნოლოგიური ბაზრის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარის მიწვევით იმყოფება.**

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ჩინეთის სახელმწიფო – კერძო სექტორის თანამშრომლობის




ფონდის (PPP FUND) საბჭოს თავმჯდომარეს ჭოუ ჩენგიუეს შეხვდა. PPP ფონდი ჩინეთის სახელმწიფოს უმსხვილეს საფინანსო ინსტიტუტს წარმოადგენს.

შეხვედრაზე ჩინეთის მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, პირველად PPP ფონდის საქმიანობის ისტორიაში ჩინეთის ფარგლებს გარეთ ინვესტიცია სწორედ საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში განახორციელოს. საქმიან შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ იმსჯელეს. ვიზიტის ფარგლებში, „საპარტნიორო ფონდის“ წარმომადგენლებმა ჩინეთის რეფორმებისა და განვითარების კომიტეტის სტრუქტურაში არსებული ტექნოლოგიების ბაზრის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელთან ჭანგ იანთან გამართეს შეხვედრა.

„საპარტნიორო ფონდის“ დელეგაცია ვიზიტის ფარგლებში, ჩინეთის უმსხვილეს ტექნოლოგიურ კორპორაცია „China Transinfo“-ს მენეჯმენტს შეხვდა. კორპორაცია ჩინეთის ყველა სახის შიდა სატრანსპორტო საშუალებას უწევს ზედამხედველობას და უზრუნველჰყოფს მათ უსაფრთხოებას. აგრეთვე, ფლობს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის უდიდეს მონაცემთა ბაზას და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპანიას ლოგისტიკური მიმართულებით.

# საჯარო სკოლებს დააფინანსებენ

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ინიციატივით გამოდის, საჯარო სკოლებს, საბაზისო დაფინანსებასთან ერთად, შედეგზე მორგებული დაფინანსების მოდელიც შესთავაზონ.

**„ბევრი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში ზოგავს ყველანაირ ხარჯს და შვილები კერძო სკოლაში მიჰყავს. რატომ? იმიტომ, რომ კერძო სკოლა დღეს უფრო მეტად კონკურენტუნარიანია, უფრო მეტის გაკეთება უწევს, შედეგი რომ გააუმჯობესოს და პედაგოგებს მეტი გადაუხადოს, შექმნას მეტი მოტივაცია. თუ ჩვენ გვინდა, რომ ახალმა თაობამ საკუთარი შესაძლებლობები უკეთ გამოიყენოს, გთავაზობთ, საჯარო სკოლებს საბაზისო, ვაუჩერულ დაფინანსებასთან ერთად (რომელიც მომავალში, თავის მხრივ, უნდა გაიზარდოს) შედეგზე მორგებული დაფინანსების მოდელიც შევთავაზოთ. მეტი მეტისთვის – მეტი შედეგისთვის სკოლამ მეტი დაფინანსება უნდა მიიღოს და ეს პედაგოგების ხელფასებზე გარანტირებულად, დამატებით უნდა აისახოს. წარმატებული მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში, კლასგარეშე აქტივობებში და პროგრამებში, შემდეგ ეტაპებზე კარგ შედეგს აჩვენებს, დამატებითი მოტივაცია უნდა იყოს სკოლებისთვის. სკოლებთან და სამოქალაქო სექტორთან ერთად დავამუშაოთ შედეგების შეფასების პროცესი და სისტემა“, –** განაცხადა თალაკვაძემ.

# რუსეთმა 16 ათასი ლიტრი ქართული ალკოჰოლური სასმელი ბაზარზე არ დაუშვა!

**რუსეთი საქართველოდან შესული ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხის კონტროლს ამკაცრებს. ფედერალური სამსახურის გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია, რომ ჩატარებული შემოწმების შედეგად, 2018 წლის პირველ ნახევარში, რუსეთის ბაზარზე უკვე არ დაუშვეს 16 ათასი ლიტრი ქართული ალკოჰოლური სასმელი. მიზეზად კი უწყებაში პროდუქციის ხარისხის რუსეთის ფედერაციის ტექნიკურ რეგლამენტთან და კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობას ასახელებენ.**

# ღვინის ეროვნული სააგენტო „როსპოტრებნადზორს“ პასუხობს

ღვინის ეროვნული სააგენტო „როსპოტრებნადზორის“ განცხადებას პასუხობს. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ხარისხზე ზრუნვა არის მუდმივი პროცესი და მზად არის, გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა როგორც კერძო სექტორთან, ისე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, რათა ათეულ მილიონობით წარმოებული ბოთლიდან აბსოლუტური უმრავლესობა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს“ საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მისი კონტროლია.

2017 წელს „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებებით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. 2017 წლის პირველ იანვრამდე სავალდებულო დეგუსტაციას მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები ექვემდებარებოდა. აღნიშნული ცვლილების ინიციატივა კერძო სექტორის მხრიდან მოდიოდა და მიზანი, სწორედ ღვინის ხარისხის გაუმჯობესება იყო.

საექსპორტოდ განკუთვნილი ყველა კატეგორიის ღვინის ორგანოლეპტიკური შემოწმების მიზნით, ღვინის ეროვნულ სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ მიმდინარე წლის 6 თვეში დეგუსტაციაზე შემოსული 4813 ნიმუშიდან 93 შეაჩერა. 2017 წელს 3440 ნიმუშიდან უარყოფითად 299 შეფასდა. საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე მოხდა საქართველოდან ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტის აკრძალვა, რათა არ მოხდეს ქვეყნის გარეთ ქართული ღვინის ფალსიფიკაცია.

ამასთან ერთად, სააგენტოს მიერ ღვინის მწარმოებელ კომპანიებში განხორციელებული სახელმწიფო და საინსპექციო კონტროლის შედეგად, წელს 6 თვეში აღებული 123 ნიმუშიდან 15 ნიმუში არ შეესაბამებოდა აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის საფუძველზეც კონკრეტულ ღვინოების ექსპორტზე უარი ეთქვათ. 2017 წელს საექსპორტო პარტიებიდან აღებული და შემოწმებული 469 ნიმუშიდან ექსპორტირებაზე უარი 27 ნიმუშს განეცხადა. დღეისათვის, 50-ზე მეტ ქვეყანას შორის, რუსეთი კვლავ რჩება ქართული ღვინის ყველაზე მსხვილ საექსპორტო ბაზრად. მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 24 მლნ ბოთლი ღვინო, ზრდამ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 24% შეადგინა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში მიიჩნევენ, რომ ხარისხზე ზრუნვა არის მუდმივი პროცესი და მზად არის, გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა როგორც კერძო სექტორთან, ისე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან, რათა ათეულმილიონობით წარმოებული ბოთლიდან აბსოლუტური უმრავლესობა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებსა და მოთხოვნებს“, – ნათქვამია განცხადებაში. „როსპოტრებნადზორმა“ გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქართველოდან შესული ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლი მიმდინარეობს.



**არასოდეს ქვეყანაში ცხოვრება ასეთი ლაღი არ ყოფილა.**

**ადამიანებს ენა გაეხსნათ და რასაც უნდათ, იმას ლაპარაკობენ.**

**კარგია ეს თუ ცუდი?**

**რა თქმა უნდა, კარგია.**

**კარგი კი არა, უკარგესი!**

გამოვა, მაგალითად, მიტინგზე ბაჩუკი ქარდავა, თავს მხარზე დაიყრდნობს და იტყვის...

აქ მთავარი ის კი არ არის, რას იტყვის, არამედ ის, რომ საზოგადოებას ამცნობს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის არსებობა ხალხს დიდი ხანია, მყარად დაავიწყდა, ჯერ ისევ არსებობსო.

არადა, ამ ბაჩუკის არც ცხონებულ გია ჭანტურიამდე, არც მით უმეტეს, გია ჭანტურიას თავმჯდომარეობის დროს და არც შემდეგ, უკვე თავისი თავმჯდომარეობისას, არასოდეს ხმა მყარად არ ამოუღია.

ან ვის რისთვის სჭირდება მისი ხმის ამოღება?

ჭკვიანურს იტყოდა რამეს?

მეტი არაა ჩემი მტერი!

ეს მას შემდეგ, რაც პაატა დავითაიამ და სხვა „პატარა დიდებმა“ უმატეს თავზარდამცემ-სახითხითო აზრების ფრქვევას, ბაჩუკიც გაუშინაურდა მიკროფონს, და საზოგადოებაში სულ უფრო გაამყარა აზრი, რომ ჯობდა, საერთოდ არ ამოეღო ხმა.

მაგრამ ბაჩუკიც, პაატაც, შალიკოც და „გირჩიც“, ასე თუ ისე, „პოლიტიკოსები“ არიან და თავს ვალდებულად რაცხენ, რაიმე უთხრან ელექტორატს (იმას მნიშვნელობა არა აქვს — ჭკვიანური თუ სულელური).

მაგრამ, მაგალითად, თავისუფალ „პუბლიცისტებს“ რა რჯით, ვერ გამიგია!

ვიტყვი პირდაპირ: აქ „პუბლიცისტი“ თაკო ჩარკვიანი მყავს მხედველობაში.

ეს ქალბატონი, რომელიც ყოველთვის აღიქმებოდა „ოცნების“ მომხრედ და ამას არც მალავს („მე დიდი წვლილი“ მიმიძღვის „ოცნების“ გამარჯვებაში“), დღეს ნაციონალური მოძრაობის აქტივისტია (თუმცა თავისი დღევანდელი „სტატუსის“ ასეთ ფორმულირებას უკადრისობს).

მან დაჯერებულად გადაირბინა




# როგორ გაწკეპლეს ანა დე მერიკური...

ფრონტის ხაზი იაკობინელებიდან და ჟირონდისტების სანგარში ტყვიამფრქვევს მიუწვა.

აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ბანაკი გამოიცვალა, არამედ ის „ახსნა“, რასაც ადგილმონაცვლეობას უდებს საფუძვლად. ეს მან ძალზე რელიეფურად, ოღონდ წარმოუდგენლად, აბდაუბდად „ახსნა“ ხუთშაბათის „რეაქციაში“ ინგა გრიგოლიასთან „ტვ პირველზე“:

**„25 წელია, ქვეყანა დადის ერთ წრეზე“(?).**

**„ნაციონალებს რომ 400 ათასი ამომრჩეველი ჰყავთ, რა ვუყოთ მათ, გვყავს დასაკარგი 400 ათასი ადამიანი?“**

**„ემიგრაცია ყმუის გაჭირვებაში“.**

**„ნუ გამახსენებთ ქალბატონებს, რომლებიც რეგულაციებით გამოდიან“.**

**„არ მინდა ლაპარაკი გირგვლიანებზე“.**

**„ჩემს ქვეყანას დასავლეთისკენ უჭირს, ქვეყანა რადარებიდან არის მოხსნილი“.**

**„მე ამ ქვეყანას დავინახავ იქ, სადაც უნდა დავინახო“.**

**„გადახედეთ გამსახურდიას მომხრე რუსეთუმეებს“,**

**„უნდა გავერთიანდეთ და დიდი უმრავლესობით მოვიდეთ“.**

**„ის პარტია, რომელსაც მხარს ვუჭერდი, აღარ არსებობს“.**

**„ქუთაისში ოპოზიციის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა არ იყო პარტიული აქტი“.**

**„ნაცებს სისასტიკე ჰქონდათ, მაგრამ ჰყავდათ პროფესიონალები“.**

და ა. შ. და ა. შ.

დაინახეთ რაიმე გონივრული ახსნა? ან საერთოდ, თუ რისი თქმა უნდა „პუბლიცისტ“ ქალბატონს?

ბოლოს თავი წამებულად წარმოაჩინა თავისი მიუკერძოებელი პოზიციის გამო, განაცხადა, ერთი საათის წინ სახლში თავს დამესხნენო.

როცა ტელეწამყვანი ჩაეძია, რა ფორმით მოხდა ეს ტერორისტული აქტიო, უხალისოდ ამოღერღა, დამირეკეს, „სახლიდან არ გამოხვიდე, თორემ გაგანადგურებთო“.

აი ასე!

რჩება შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი თაკო დიდად განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“ და ახლა, როცა ამ პარტიის „დღეები დათვლილია“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა „დღედღეზე დაბრუნდება ქვეყნის სათავეში“, მომენტი ხელიდან არ გაუშვია და მწყენინებელს ზურგში დანა ჩასცა, როგორც სადუნ მანკაბერდელის ვაჟმა ყუთლუბუღამ — დემეტრე II თავდადებულს. ყუთლუმ იმიტომ ივერაგა, რომ მეფემ თავის დროზე ათაბაგობა არ უბოძა.

იბადება ეჭვი, რომ თაკოც ყუთლუზე არანაკლებ განაწყენებულია, იმიტომ ხომ არა, რომ, როგორც ამბობენ, ქოცებმა ამ სამი წლის წინათ კულტურის მინისტრის მოადგილის სახელოზე უარი უთხრეს, რომელიც ლამის უკვე ჯიბეში ედო. თუ რატომ უთხრეს უარი აღზევებაზე, სხვა საქმეა და როგორც ჩახედული ხალხი ამბობს, თვით თ. ჩარკვიანის ხასიათშია საძიებელი.

დაბოლოს ერთი ისტორიული შედარება (ჩემი აზრით ძალზე ნიშანდობლივი) მინდა, მოვიყვანო, ამჯერად საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან.

იყო ასეთი ქალბატონი — ანა ტერიუან დე მერიკური (1762-1817), რევოლუციის მოღვაწე, „ქალთა ლიდერი“, მრავალი მასობრივი გამოსვლის მონაწილე და მასებში (განსაკუთრებით ქალებში) ერთობ პოპულარული. და აი დე მერიკურს სახელი გაუტყდა ჟირონდისტებთან (რევოლუციის რეაქციულ ფრთასთან) კონტაქტის გამო. ეს არ აპატიეს და 1793 წლის მაისში პარიზის გარეუბნელმა ქალებმა დე მერიკური მოიხელთეს და... საჯაროდ გაწკეპლეს. ეს ეგზეკუცია ანამ (ის მაშინ 31 წლისა იყო) ვერ აიტანა, ჭკუაზე შეცდა და დარჩენილი დღენი (24 წელი) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გალია.

ჭკუის სასწავლი მაგალითია, თუმცა თაკოს ჯვარი სწერია. გულწრფელად ვამბობ: ეს მშვენიერი ქალბატონი გასაწკეპლად არამც და არამც არ მემეტება... ოღონდ ყველა ჩემნაირი ხომ არ არის! აგე, აკი ტელეფონით საშინელი ტერაქტი მოუწყვეს!

**იოსებ გაგნიძე**

## საბურთალოს განახლებული სპორტული მოედნები შეემატება



**საბურთალოს რაიონში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. შარტავას ქუჩა №18, პეკინის გამზირის №31, თოფურიას ქუჩა №12, პეტრიწის ქუჩა №12 და ყაზბეგის გამზირის №29ა კორპუსების მიმდებარედ, სპორტული მოედნების რეაბილიტაცია სრულდება.**

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონის გამგებელმა გაიოზ ვასაძემ დაათვალიერა.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებსა და ახალგაზრდებს რაც შეიძლება მეტი სპორტული სივრცე ჰქონდეთ და სპორტული აქტივობებით დაკავდნენ. ნოემბრის ბოლომდე კი, დაახლოებით, 20-მდე სპორტული სივრცე მოეწყობა. ასევე, მოსახლეობის თხოვნით, 13 მისამართზე ფიტნეს ზონა მოეწყო. ვცდილობთ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ხელი მაქსიმალურად შევუწყოთ“,** — განაცხადა გაიოზ ვასაძემ.

პროექტის ფარგლებში, ლითონის ბადეები განახლდა, დაზიანებული ხელოვნური საფარი კი ახლით შეიცვლება. ასევე, მოეწყობა ყველა საჭირო ინვენტარი. სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „დოკასპორტი“ ასრულებს.

## კახეთის გზატკეცილიდან სოფელ ნასაგურამდე განახლებული გზით მივალთ

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა კახეთის გზატკეცილიდან სოფელ ნასაგურამდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია დაიწყო.**

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე საკრებულოს თავმჯდომარე, სამგორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტყემალაძესთან ერთად გაეცნო. დედაქალაქის მერის თქმით, გზის კაპიტალური აღდგენის სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

**„ეს არის, დაახლოებით, ოთხკილომეტრიანი მონაკვეთი. ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფელ ნასაგურამდე მისასვლელი გზა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამჟამად, აქ შემოვლითი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ცენტრალური გზის კაპიტალური რეაბილიტაციის დასრულებამდე, ადგილობრივ მცხოვრებლებს დროებით ამ გზით მოუწევთ გადაადგილება. პროექტის განხორციელებისთვის დაახლოებით, სამი მილიონი ლარი დაიხარჯება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

სამშენებლო არეალი კახეთის გზატკეცილიდან იწყება და მგელაძისა და იორის ქუჩების გავლით, სოფელ ნასაგურში, აფხაზეთისა და მაჩაბლის ქუჩებთან სრულდება. სოფელ ნასაგურამდე მისასვლელი დროებითი გზების მოწყობის მიზნით, 2.5 კილომეტრზე ბეტონის კიუვეტები მოეწყობა და საერთო ჯამში, 25 000 მ2 ასფალტის საფარი დაიგება.



## ეკობანაკი ბულაჩაურის მწვანე ცენტრში

**კავკასიის გარემოსდაცვითმა ქსელმა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან ერთად, ბულაჩაურის მწვანე ცენტრში, საზაფხულო ეკობანაკს უმასპინძლა.**

მონაწილეები ყველაზე მასშტაბური სასკოლო, გარემოსდაცვითი კონკურსის — ნიკო კეცხოველის პრემიის ფინალისტი სკოლის მოსწავლეები არიან.

ეკობანაკის მონაწილეებმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან სოლომონ პავლიაშვილთან და ცენტრის დირექტორთან თამარ ალადაშვილთან ერთად მდგრადი განვითარების მიზნებზე და ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებსა თუ გამოწვევებზე ისაუბრეს. ასევე, ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკაზე და ამ მიმართულებით მიმდინარე თუ დაგეგმილ საქმიანობაზე იმსჯელეს. ცენტრის თანამშრომლებმა მოსწავლეებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ბიომრავალფეროვნებასა და გაუდაბნოების საკითხებზე ტრენინგები ჩაუტარეს. ტრენინგების დასასრულს, ეკობანაკის მონაწილეებს ჩაუტარდათ მასტერკლასი „მომავალი ეკოსპიკერი“, სადაც მონაწილეები კამერასთან მუშაობის ტექნიკას, ასევე გარემოსდაცვითი ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების გზებს გაეცნენ. მასტერკლასს ჟურნალისტი თორნიკე კვერენჩხილაძე უძღვებოდა.

## სოფელ ვაზისუბანში ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება

**გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზისუბანში შპს „ვაზისუბნის მამული“ ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოს ააშენებს, რისთვისაც სულ მცირე 2 500 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს და ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს.**

შპს „ვაზისუბნის მამული“ სოფელ ვაზისუბანში 32 ჰა. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ფლობს, სადაც ვენახია გაშენებული. აღნიშნულ საწარმოში კომპანია საკუთარი ყურძნის გადამუშავებას უზრუნველყოფს, ამასთან, სოფელი ვაზისუბნისა და მომიჯნავე სოფლების მოსახლეობასაც ექნება ყურძნის ჩაბარების შესაძლებლობა.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ — სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზისუბანში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15 729 კვ.მ. მიწის ნაკვეთი პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 84 000 ლარად გაყიდა.





# შიმშილით სიკვდილს ისევ მაღაროში რისკის ქვეშ მუშაობა სჯობს!

## მხოლოდ შახტებში 2018 წელს 11 ადამიანია დაღუპული! სამუშაო ადგილებზე 29 ადამიანი გარდაიცვალა, 24 – მძიმედ დაშავდა

**საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შრომის დაცვის ტექნიკური ინსპექციის უფროსი ნიკა კაკაშვილი აცხადებს, რომ 2018 წელს, სამუშაო ადგილებზე საწარმოო ტრავმების შედეგად 29 ადამიანი გარდაიცვალა, 24 მძიმედ დაშავდა, აქედან მხოლოდ შახტებში 11 ადამიანია გარდაცვლილი, დაშავებულია – 10. შახტებში მომხდარი შემთხვევების შედეგად მხოლოდ ქვედა რგოლების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი დგება, პირების, რომლებიც რეალური გადაწყვეტილების მიმღები არ არის.**

რაც შეეხება ტყიბულში, მინდელის შახტში მომხდარ ბოლო ტრაგიკულ შემთხვევას, როგორც კაკაშვილი აცხადებს, პირველადი ინფორმაციით, აფეთქება მეთანის აალებამ გამოიწვია. „პირველადი ვერსიით, მეთანის აფეთქება მოხდა. ახლა ვარკვევთ დეტალებს, პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.

წინა შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარე წლის 6 აპრილს მოხდა, მაღაროში სამთო დარტყმა ან აირის დაგროვებით გამოწვეული აფეთქება არ მომხდარა. „ჩვენ არ გვაქვს ჯერჯერობით სამედიცინო ექსპერტიზის და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნები, რომელიც მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებს აქვთ. ამის გამო, უკრაინელ ექსპერტებსაც გაუჭირდათ დასკვნის გაკეთება, რომლებიც 6 აპრილის შემდეგ ტყიბულის მაღაროში მომხდარ შემთხვევას იკვლევდნენ. რამდენიმე ვერსიაა და გვიჭირს კონკრეტულის დასახელება.

უკრაინელი ექსპერტების რეკომენდაცია იყო, შახტებში სტაციონარული მეთანმზომები დაეყენებინათ, რაც მუდმივ რეჟიმში გაზომავს მეთანის კონცენტრაციას.

– ეს აპარატურა დააყენეს. ასევე, დაყენებულია შესაბამისი მოწყობილობები, რითაც შესაძლებელია იდენტიფიცირება, რა უბანზე რამდენი ადამიანი მუშაობს. ასევე, იყო სხვა რეკომენდაციებიც, რაც არ შესრულებულა. ვფიქრობთ, სიტუაცია არ შეიცვლება, თუ არ მოხდა რეალური სტანდარტის მოთხოვნების შესრულება, რაც არეგულირებს შახტებში შრომის უსაფრთხოებას. გამორიცხულია, შახტებში უბედური შემთხვევები აღვკვეთოთ, ეს არის მომატებული საფრთხის შემცველი სამუშაო გარემო, რა ღონისძიებებიც არ უნდა გატარდეს, მსხვერპლს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ასეთი გახშირებული შემთხვევები არ მოხდება, თუ სტანდარტებს დავიცავთ. მთავარი რეკომენდაცია, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ძველი გამომუშავებული ადგილების ამოქოლვაა, რომ იქიდან არ მოხდეს მეთანის გამოტყორცნა. ეს არის ყველაზე საფრთხის შემცველი შახტებში. ასევე, მეთანს მუდმივად თუ გააკონტროლებენ, ასეთი შემთხვევა არ მოხდება... პრობლემაა ისიც, რომ პასუხისმგებლობის საკითხი, ქვედა რგოლების წარმომადგენლების მიმართ დგება და არა რეალურად გადაწყვეტილების მიმღები პირების.

**– წინა შემთხვევის შემდეგ ჩვენი ინიციატივა იყო, რომ მაღარო დახურულიყო, რაც ჯანდაცვის სამინისტროს შევთავაზეთ. მათ უნდა მოეწვიათ შესაბამისი ექსპერტები, ჩაეტრებინათ კვლევა და დასკვნის შესაბამისად გადაწყვეტილიყო, შესაძლებელია შახტის შემდგომი რეაბილიტაცია ისე, რომ რისკების შემცირება მოხდეს, თუ უნდა მოხდეს შახტის კონსერვაცია. ამაზე სამინისტრო დაგვთანხმდა. როგორც ვიცით, ოთხ კერძო ფირმასთან, მათი შრომის ინსპექტორებთან არის მოლაპარაკება და ერთ-ერთ ფირმასთან გააფორმებს სამინისტრო ხელშეკრულებას. კონსერვაციის საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგში ისევ დგას,** – განაცხადა კაკაშვილმა.

**ამ თემაზე საქართველოს მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელი თამაზ დოლაბერიძე ამბობს:**

– საჭიროა შახტები ამ ეტაპზე გაჩერდეს. მათი რეაბილიტაცია ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების მონაწილეობით შექმნილი სარეაბილიტაციო გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს. შახტა უნდა დაიკეტოს იმდენი ხნით, რამდენითაც საჭირო იქნება.

პარალელურად, მეშახტეებს უნდა მიეცეთ კომპენსაცია, მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარი ხელფასის ტოლობის თანხით. თუ შახტაში არსებული პირობები ნორმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ეს მეშახტეების ბრალი არ არის და, შესაბამისად, მათი ოჯახები უზრუნველყოფის გარეშე არ უნდა დარჩნენ.

ასევე მივიჩნევთ, რომ თუკი შახტა სარეაბილიტაციო პერიოდით გაჩერდება, ტყიბულის მუნიციპალიტეტს უნდა შეუნარჩუნდეს ყველა ის ფინანსური სახსარი, რასაც კომპანიებისგან იღებს; რათა მათ მიერ განსახორციელებელი კულტურული და სოციალური აქტივობები შეუფერხებლად გაგრძელდეს. ეს არის ჩვენი მოთხოვნა.

ამავე დროს, ადგილზე ყველაფერი იდეალურად რომ იყოს, შახტა მაინც განეკუთვნება მომატებული რისკის საწარმოს და მეშახტეები უმძიმეს შრომას ასრულებენ. მათი ხელფასის გათვლა იმაზე, თუ არსებულ ბაზარზე ქვანახშირს რა ღირებულება აქვს, დიდი შეცდომაა. ქვანახშირი ვერასოდეს იმდენი ვერ ეღირება, რომ ამ მძიმე შრომის ტოლფასი გახდეს. ამიტომ მათთვის აუცილებელია საშეღავათო სისტემის შემოღება.

კერძოდ, იმას ვგულისხმობთ, რომ ისინი საშემოსავლო გადასახადისგან უნდა გათავისუფლდნენ, – როგორც ტყიბულელი მეშახტეები, ასევე ჭიათურელი მაღაროელები და მათთვის საპენსიო ასაკი 55 წლამდე უნდა იქნეს დაწეული. ოღონდ იმ დათქმით, რომ 55 წლის ასაკიდან მეშახტეები და მაღაროელები თავად გადაწყვეტენ, გააგრძელოს მუშაობა, თუ პენსიაში გავიდნენ.

მესამე მოთხოვნაა, რომ აუცილებელია, საწარმოო შემთხვევების სადაზღვევო სისტემა შეიქმნას. ადამიანები, რომლებიც საწარმოო შემთხვევების შედეგად დაზარალდებიან, დაშავდებიან ან გარდაიცვლებიან, ტრავმის ან სხვა შედეგის შესაბამისი კლასიფიკაციით უნდა მოხდეს მათი და მათივე ოჯახების კომპენსირება.

ვითხოვთ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 176-ე კონვენციის რატიფიცირება სასწრაფოდ დღის წესრიგში დადგეს. ეს კონვენცია ჩვენ მიგვითითებს შახტებსა და მაღაროებზე ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ და საქართველოში დღემდე ეს კონვენცია რატიფიცირებული არ არის.

**„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ ინფორმაციით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შპს „საქნახშირის“ („ჯი აი ჯი ჯგუფი“) კუთვნილ მინდელისა და ძიძიგურის სახელობის ქვანახშირის სამთო-მომპოვებელ შახტებში, ასევე საწარმოს მფლობელობაში არსებულ გამამდიდრებელ ფაბრიკებში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და პირობების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ორჯერ, 2016 და 2017 წელს შეამოწმა. გამოვლენილი დარღვევებისა და გაცემული რეკომენდაციების ანალიზი აჩვენებს, რომ საწარმოში უსაფრთხოებისა და დასაქმებულთა შრომის პირობების დაცვის თვალსაზრისით პრობლემები სისტემურია.**

მათივე ინფორმაციით, ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გაცემულ ანგარიშში ვკითხულობთ: **„შპს „საქნახშირის“ კუთვნილ საწარმოში დასაქმებულები სამუშაო ადგილებზე იმყოფებიან ღირსებისთვის შემლახავ სამუშაო გარემოში და უხეშად ირღვევა მათი შრომითი პირობები და უფლებები. დაკისრებულ მოვალეობებს დასაქმებულები ასრულებენ შიშის ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ, ექსტრემალურ პირობებში“.**




ემც-ის (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინსპექტირების მასალების მიხედვით, საწარმოს სხვა უბნებთან შედარებით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მინდელისა და ძიძიგურის სახელობის შახტებში, თუმცა, შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო გარემოს გამართული მოწყობის პრობლემაა საწარმოს ყველა უბანზე.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევებს, ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2017 წელს ძიძიგურისა და მინდელის სახელობის შახტებში გამოვლენილი მძიმე დარღვევების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: **ვაგონების სამუხრუჭედ გამოიყენება ფიცრის ნაჭრები; გალში (ადამიანების ასაწევი და ჩასაყვანი მოწყობილობა) არ არსებობს სამანქანო განყოფილებასთან კავშირის საშუალებები; შახტის გვირაბებში შეინიშნება ჭერის დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის დასაქმებულებს; ადამიანების სიმაღლიდან ვარდნის ადგილები არ არის შემოღობილი და დაცული სასკიპე ჭაურის სამანქანო კამერაში; შახტაში მოძრავ ზოგიერთ ელმავალს არ გააჩნია მემანქანისთვის განკუთვნილი სკამი, ხოლო სამგზავრო ვაგონები არ არის მოწყობილი სტანდარტის შესაბამისად; ქვესადგურში დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი დიალექტრიკული საშუალებებით (ჩაფხუტი, ბოტი, ხელთათმანი, ხალიჩა); 400 ნიშნულის დამხმარე ჭაურის ლიფტის კარები და ბაქანი მოსაწესრიგებელია, რათა გამოირიცხოს ადამიანების ვარდნის საფრთხე; შახტაში არსებული მაღალი ძაბვის ქვესადგური დაუცველია გარეშე პირთა შეღწევისგან, არ არის განათება ერთ მხარეს არსებული კარი ღიაა, ხოლო მეორე მხარე კარის გარეშეა.**

გარდა ამისა, **შახტაში დარღვეულია ღია ცეცხლის გამოყენების წესი; მინდელის შახტაში 300 ნიშნულის აღმოსავლეთ საველე შტრეკში სავენტილაციო მილი და ელექტროკაბელები ერთ მხარეს არის განთავსებული; ჩამყრელ ბუნკერებთან დასაქმებულებს, არა აქვთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (სათვალე და რესპირატორი); სამანქანო არსებული ელექტროფარი არ არის შეფუთული დადგენილი წესით; გადამყირავებელ უბნებზე არ არის დამონტაჟებული ასპირაციული სისტემები და სხვა.**

ემც-ის ცნობით, **2016 წელს ჩატარებული მონიტორინგის დროს კი მინდელის შახტაში დამატებით გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები: დასაქმებულებს არა აქვთ შესაბამისი წყალმომარაგება და სანიტარიული პირობები, არ არიან უზრუნველყოფილი სპეციალური ტანსაცმლით და არ გააჩნიათ სააფთიაქო ყუთი. შახტაში, სამუშაო ადგილის მიმდებარედ დამაკავშირებელი გვირაბი (50კვ.მ ტერიტორია) გადავსებულია ფეკალიებით, რაც ნაწლავური ინფექციების აღმოცენების და გავრცელების რეალური საფრთხეს შეიცავს. სამუშაო ადგილზე არ არის პერსონალის შესვენებისთვის აუცილებელი ფართი. ამის ნაცვლად, დასაქმებულებს მოწყობილი აქვთ დროებითი მოსასვენებელი ადგილი მუყაოს ნაჭრებით. გადასაადგილებელი ვაგონები მოსაწესრიგებელია, სარელსე მეურნეობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. არ ფუნქციონირებს მუშათა ჩასხდომის სასიგნალო სისტემა. პერსონალი შეხებაშია სხვადასხვა მჟავებთან. ტერიტორია გადატვირთულია უყურადღებოდ დატოვებული მანქანა-დანადგარებისათვის განკუთვნილი ზეთის ავზებით. შახტის შესასვლელი ტერიტორია გადატვირთულია სხვადასხვა წარმოშობის ლითონის გადანაყრებით. მოსაწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა.**

2016 წლის ინსპექტირების მასალებით ჩანს, რომ მონიტორინგის ჯგუფი გაეცნო საწარმოში არსებულ სამედიცინო ჟურნალებსა და ისტორიებს. დოკუმენტების შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ დასაქმებულთა უმეტესობას აღენიშნება გულსისხლძარღვთა დაავადებები, მაღალი არტერიული წნევა, დასაქმებულთა ნაწილში ხშირია სტენოკარდიული შემთხვევებიც.

გარდა ამისა, ორგანიზაციის ინფორმაციით, დასაქმებულებს შორის განსაკუთრებით ხშირია რესპირატორული დაავადებები, რაც გამოწვეულია ტემპერატურის ცვალებადობით სამუშაო ადგილებზე, მტვრის მომატებული კონცენტრაციით და სამუშაო პირობებთან შეუსაბამო სპეცტანსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობით; დასაქმებულებს შორის ხშირია სმენის პრობლემები, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია სმენის დამცავი (ხმაურჩამხშობი) საშუალებების არქონით და მომეტებული საწარმოო ხმაურით სამუშაო ადგილზე; ამას გარდა, ფიქსირდება დასაქმებულთა მხედველობის სხვადასხვა სახის დარღვევები, რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს არასაკმარისი განათებით და მხედველობის ორგანოს ზედმეტი დაძაბვით; საწარმოო უბნებზე დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი ვიბრაციის საწინააღმდეგო ხელთათმანებით, რის გამოც უვითარდებათ ვიბრაციული დაავადებებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები; მძიმე სამუშაო გარემოს გამო, დასაქმებულებს უწევთ ფიზიკური სამუშაოს შესრულება არახელსაყრელ საწარმოო გარემოში, რის გამოც გახშირებულია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები. გახშირებულია საწარმოო ტრავმატიზმი. პერსონალს შორის ხშირია ზედა და ქვედა კიდურის სხვადასხვა სიმძიმის ნასერი და ნაგლეჯი ჭრილობები, რაც გამოწვეულია უსაფრთხოების წესების დაუცველობით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არარსებობით.

ემც-ის ცნობით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ე.წ. რემონიტორინგი გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად საწარმოში არ განხორციელებულა. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ ინსპექტირების ანგარიშებში ასახულ დარღვევებსა და რეკომენდაციებს ეფუძნება და საწარმოს მიერ მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს.

**მოამზადა**
**შავლეგ ბერიძემ**

## ჩვენში განაგრძობ სიცოცხლეს!



# დავით (ჯვებე) მხეიძის სევდიანი საგა...



**ამას წინათ სოციალურ ქსელში უცნაური კითხვა დამისვა ერთმა უცნობმა ფეისბუქ-მეგობარმა — თქვენ დავით გრიგოლის-ძე მხეიძის შვილიშვილი ხართ?**

დიახ-მეთქი, ვუპასუხე, თან გავიკვირვე, ბაბუაჩემი დავით (ჯვებე) მხეიძე ხომ 1937 წელს, როგორც ტროცკისტი, ხალხის მტერი დახვრიტეს და ნეტავ ვის და რისთვის გაახსენდა 80 წლის წინათ გარდაცვლილი ჩემი სეხნია ბაბუა-მეთქი ვიფიქრე და პასუხს ჩემი მობილურის ნომერიც მივაწერე...

ჰოდა, ცოტა ხანში ზარი შემოვიდა ზუგდიდიდან — მამა დიმიტრი ვარ, დადიანების სასახლის ეკლესიის წინამძღვარი, სამეგრელოს სახელოვანი შვილების ბედ-იღბალს ვიკვლევთ, მოკლე ხანში თბილისში ვიქნები და აუცილებლად განახავთო...

ამ ზარით გახარებულ 62 წლის კაცს ბავშვივით გული ამიჩუყდა და როგორც დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „უსიამო ფიქრების გალა" მომეძალა. ფიქრები იმ მცირედზე, რაც ბაბუაზე ვიცი და რომელიც ფართო საზოგადოებას მინდა, გავუზიარო იმ იმედით, რომ იქნება მოხდეს სასწაული და ამდენი ხნის მერეც აღმოჩნდეს ვინმე, პირველ რიგში ჩემს მშობლიურ „სამარგალოში" (დედაჩემი მარტვილელი კოკაიას ქალი იყო დიდი ჭყონიდან) და დანარჩენ საქართველოში, ვინც ჩემს მწირ ცოდნას ჯვებე მხეიძის შესახებ თუნდაც იოტისოდენა რამით შემივსებს...

სენაკელი-ხორგელ ჩემს დიდ ბაბუას გრიგოლ მხეიძეს 5 შვილი ჰყავდა — ქალიშვილები: ქეთევანი (გუგუ), ლოლა და 3 ვაჟი: ძმებს შორის უფროსი ჩემი ბაბუა დავით (ჯვებე), მომდევნო ლეონიდე (ტოგო) და ნაბოლარა ძმა მამია მხეიძეები.

მამაჩემის, ნუგზარ მხეიძის მამიდა, ანუ იგივე, ჩემი ბაბუდა გუგუ აბაშაში იყო გათხოვილი აკაკი (კაკო) ძველაიაზე, რომლის ოჯახს ხშირად ვსტუმრობდით ხოლმე ძირითადად შავ ზღვაზე დასასვენებლად მიმავალნი და იქიდან მომავალნი ; ჩემი ბაბუდა და მამაჩემის მამიდა ლოლა თბილისში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა.

(ახლა მავანი, ალბათ, მეტყვის და სამართლიანადაც — გუგუ და ლოლა ბაბუდებისთვის გეკითხა ბევრი რამ, რის არცოდნასაც ახლა მისტირიო?!.

რას იზამ, ასე ყოფილა — სანამ ჩვენი ბებია-ბაბუები ცოცხლები არიან, მათთან ერთად „წარსულის ლანდებთან ლაციცს", მათთვის აზრიანი კითხვების დასმას, მათსავე გაშლილ სუფრაზე უაზრო ჰარალი-ჰარიჰარალო გვირჩევნია და მათთვის დასასმელი კითხვები მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როდესაც მათზე პასუხები საიქიოს აქვთ წაღებული).

რაც შეეხებათ ბაბუაჩემის ძმებს, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ძმა პატიმარი იყო, რეპრესიები არ შეხებიათ — შუათანა ლეონიდე (ტოგო), რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში მთავარ აგრონომად მსახურობდა, სამოციან წლებში 59 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა, ხოლო ნაბოლარა ძმაზე, რუსთაველის „სად წაიყვან, სადაურსა"-ო, ზედგამოჭრილი ნათქვამია — დიდი სამამულო ომის ქარცეცხლი ვაჟკაცურად გამოიარა მამია მხეიძემ, ომის დამთავრების შემდეგ რუსი ქალი შეირთო ცოლად და რუსეთის კავკასიაშივე დარჩა საცხოვრებლად და ახლა ქალაქ „მინვოდის" (მინერალური წყლების) სასაფლაოზე განისვენებს ხორგელი „ღიმილის ბიჭი"...

რაც შეეხება წინამდებარე წერილის მთავარ გმირს, ბაბუაჩემს, დავით(ჯვებე) მხეიძეს, რომლის რაღაც სასწაულით გადარჩენილი ერთადერთი ფოტო ჩვენს ოჯახში კედელზე ეკიდა, ბავშვობიდან მხოლოდ ის ვიცოდი, რაც მთელმა ოჯახმა — 37-ში ციმბირში გადაასახლეს და ვითომ იქვე გარდაიცვალა!

ამ „ვითომს" ფარდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აეხადა, როდესაც „კგბ"-ს არქივების ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა, სამეგრელოს კიდევ ერთი დიდი შვილის ჟიული შარტავასთან ერთად დახვრეტილი, საქართველოს ეროვნული გმირის, უშიშროების პოლკოვნიკ მამია ალასანიას და ასევე უშიშროების გენერალ ანზორ მაისურაძის დახმარებით, მამაჩემმა ნუგზარ მხეიძემ ბაბუაჩემის პირადი საქმე „კგბ"-ს არქივიდან გამოიტანა.

საქმეში, დაკითხვის ოქმებთან ერთად ბაბუას პასპორტი (საიდანაც გარკვეულ წილად სიმბოლური ფაქტი შევიტყვე — ჯვებე მხეიძე 26 მაისს ყოფილა დაბადებული), სამხედრო ბილეთი და დრო-ჟამისგან გაყვითლებულ ფურცელზე მისი თითის ანაბეჭდები აღმოჩნდა. ნათითურები, რომელთაც მაშინ, როგორც ცოცხალ ჯვებე ბაბუას, ისე მოვეფერე და ხანდახან დღესაც ვეფერები ხოლმე...

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ იტალიელი შპიონის, ვინმე ლიაპკინის აღიარებითი ჩვენების მიხედვით დავით მხეიძე, რომელიც მცხეთის სახერხ ქარხანაში მთავარ მექანიკოსად მუშაობდა, იმავე იტალიის მიერ ჩანერგილი შპიონი ყოფილა და ამიტომ 1937 წლის 28 ოქტომბერს დაუპატიმრებიათ?!

რით არის ეს აბდაუბდა „მონანიებიდან" ბომბეილონდონის გვირაბზე ნაკლები?..

**1 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, ანუ 50 დღის განმავლობაში დავით(ჯვებე) მხეიძე 27-ჯერ დაუკითხავთ (წაიკითხე, უწამებიათ). ანუ, ყოველ მეორე დღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყველა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა! არ მიუცია არც ერთი წერილობითი ჩვენება, მაგრამ ბოლო 27-ე „დაკითხვას", როგორც სჩანს ვეღარ გაუძლო, გაუთავებელ საშინელებას საშინელი დასასრული არჩია და აღიარა „დანაშაული"...**

ორი დღის შემდეგ, 22 დეკემბერს კი, რადგან საკუთარი ხელით ვერაფერი დააწერინეს, მისი ნათქვამის მიხედვით შედგენილ ოქმზე ხელის მოსაწერად სადღაც აიყვანეს თუ ჩაიყვანეს, სადაც კიდევ ერთი კითხვა-პასუხი გაიმართა, რომელსაც დედანში, რუსულ ენაზე მოვიყვან, რადგანაც რუსულად უფრო კარგად იგრძნობა 35 წლის ვაჟკაცის სიკვდილის წინა განცდები, მომენტის ტრაგიზმი:

კითხვა: „Что можете ещо добавить к Вашим показаниям о других Ваших действиях и других членов Вашей вредательско-диверсионной группы"?

პასუხი: „Мне больше нечего добавить. Нужные Вам показания я уже дал. Дальнейшее мне безразлично, с меня хватит, достаточно и не задавайте мне больше глупых вопросов".

იმავე 22 დეკემბერს გადაეცა ეს საქმე ე.წ. „ტროიკას": ქობულოვის, კარხმანზიანის, ჟუკოვის შემადგენლობით, რომელმაც ქონების კონფისკაციით დახვრეტა იმავე 22 დეკემბერს მიუსაჯა დავით მხეიძეს და განაჩენი იმავე 22 დეკემბერსვე მოიყვანეს სისრულეში — შესაშური ოპერატიულობაა, არა?..

თუმცა ამ ბოლო ცნობამ ბაბუას დახვრეტის შესახებ გარკვეულ წილად გამახარა — მანამდე გვეგონა, რომ სადღაც ციმბირის ყინულეთში იყო ჩაფლული დავით (ჯვებე) მხეიძის ძვლები. ახლა ის მაინც გავიგეთ, რომ სადღაც ვაკის პარკთან ან სადმე თბილისთან ახლოს სამშობლოს მიწა აყრია გულზე — ბაბუასთვის ესეც მადლია, ხოლო ჩვენთვის, მისი შთამომავლებისთვის პატარა, მაგრამ მაინც შვებაა...

წინამდებარე წერილი ვინმეს იქნება დავით (ჯვებე) მხეიძის ვაჟკაცური აღსასრულით ყელყელაობად მოეჩვენოს მისი შვილიშვილის მხრიდან, მაგრამ რა ვქნა, მე მხოლოდ მისი დასასრულის შესახებ ვიცი ის, რაც დავწერე და დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ, ვინც მე ძველი იარის გაახლებით (მამა დიმიტრი) სასიამოვნოდ მატკინა გული, იმან დავით გრიგოლის ძე მხეიძის ან თავად ჩემი დიდი ბაბუის გრიგოლ მხეიძის მიერ სამეგრელოში გაკეთებული კეთილი საქმეების შესახებაც იცის ის, რაც მე არ ვიცი.



ისე კი, ყელყელაობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დავით (ჯვებე) მხეიძის ვაჟკაცობა ნამდვილად მეამაყება, რადგანაც, როგორც რუსული ანდაზა ამბობს „конец делу венец". თუნდაც მხოლოდ კაცურად სიკვდილის ნიჭი, ნამდვილად არ არის ცოტა!

**დავით მხეიძე.**

**P. S. სოლომონ ზალდასტანიშვილს საკუთარ მოგონებებში, „1924 წლის აჯანყება", ერთგან ნახსენები ჰყავს როტმისტრი დავით მხეიძე, რომელსაც 20 კაცით სენაკის „ჩეკა" განუიარაღებია!**

**ჩემი ვარაუდით, ის როტმისტრი დავით მხეიძე სეხნიობასთან ერთად, ბაბუაჩემის ნათესავიც უნდა იყოს — მეგრელი მხეიძეები ხომ ყველანი მეტ-ნაკლებად ერთმანეთის სისხლისმიერი ნათესავები არიან?!**

**ამ რამდენიმე წლის წინათ კომპანია „მაგთის" ამავე დასახელების ყოველთვიურ ჟურნალში წავიკითხე ინტერვიუ სუხიშვილების ანსამბლის ლეგენდარულ მოცეკვავე მარინე მხეიძესთან, სადაც ის ერთგან ამბობს, რომ ასევე ლეგენდარული მერი შერვაშიძის დედა სენაკელი ნინო მხეიძე ყოფილა, რომლის ძმასთან, ანუ საკუთარ ბიძა გრიგოლ მხეიძესთან ხშირად სტუმრობდაო სენაკში რომანოვების სამეფო კარის ფრეილინა, ულამაზესი მერი შერვაშიძე.**

**მარინე მხეიძე იმ ინტერვიუში იმასაც ამბობს, რომ გრიგოლ მხეიძეს რკინიგზა (ე.წ. „უსკოკოლეიკა") გაუყვანია სენაკიდან ფოთამდე!**

**ეს ყველაფერი ისე, ცნობისთვის, რადგანაც ნამდვილად არ ვიცი მერი შერვაშიძის ბიძა და ჩემი დიდი ბაბუა ერთი და იგივე პიროვნებაა თუ მხოლოდ სეხნიები არიან?!**

**თუმცა, რატომ მხოლოდ სეხნიები? როგორც ზემოთ ვთქვი, მეგრელი მხეიძეები ხომ ყველანი ასე თუ ისე ერთმანეთის ნათესავები არიან?!.**

**დ. მ.**

# ვინ არის ევექსის პოლიკლინიკის ექიმი, რომელმაც პაციენტი აეროპორტში ამშობიარა



**რუსუდან ცისკარიძე ევექსის პოლიკლინიკის ექიმია, რომელსაც ექიმად მუშაობის 25 წლიანი სტაჟი აქვს. სამედიცინო პროფესიიდან გამომდინარე მისთვის უცხო არ არის სხვადასხვა ჩვენებით შემოსული პაციენტებისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.**

15 ივლისს სწორედ რუსუდან ცისკარიძეს მოუწია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მორიგეობა. სამორიგეო პუნქტში შევიდა შეტყობინება, რომ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ახალგაზრდა ქალი თავს შეუძლოდ გრძნობდა. „ევექსის" ექიმი დასახმარებლად პირველადი დახმარების ჩანთით გავიდა, იფიქრა, სტანდარტულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე. როგორც წესი, აეროპორტში მგზავრები წნევას, თავის ტკივილს ან დაძაბულობით გამოწვეულ ნერვულ შეტევებს უჩივიანხოლმე. ადგილზე მისულს ფეხმძიმე ახალგაზრდა ქალბატონი დახვდა, რომელიც მუცლის ძლიერ ტკივილს უჩიოდა, ესი იყო ვადამდელი მშობიარობა.



დაუყოვნებლივ განხორციელდა პაციენტის გადაყვანა სამედიცინო პუნქტში, სადაც ახალშობილი რომლის წონა 2 კილოგრამი და სიგრძე კი 46 სანტიმეტრი იყო 10 წუთში მოევლინა ქვეყანას. მსგავსი შემთხვევა საქართველოს აეროპორტში პირველად დაფიქსირდა.

მშობიარობამ გართულებების გარეშე ჩაიარა, ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ბავშვი უკვე დაბადებულიდახვდა და მშობიარობის პროცესიც სრულად დასრულებული იყო. ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ბათუმი-მოსკოვის რეისს გასაფრენ დარბაზში ელოდა და წუთი-წუთზე უნდა გაფრენილიყო, საავადმყოფოში გადაიყვანეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

53 წლის ექიმი კმაყოფილია. **„მთავარი ჩვენს საქმეში არის მობილიზება, სწრაფად მოქმედება და პაციენტის დახმარება... ადამიანის სიცოცხლე ბევრჯერ გადამირჩენია"** — ამბობს რუსუდანი.

## მიშათუმეობიდან რუსეთუმეობამდე

## ვახტანგ კიკაბიძე:

# რუსეთი ძალიან მიყვარს!

**— არ მომწონს, ერთი ქართველი მეორეს რომ უბღვერს პოლიტიკოსის გამო. რატომ გვავიწყდება, რომ საქართველო სიმღერის, ცეკვისა და სტუმრის ქვეყანაა. ჩვენ მრავალხმიანი ქვეყანა ვართ. ეს არის ჩვენი ოქროს ფონდი. სულ ვამბობ, რომ ჩავკიდოთ ყველამ ერთმანეთს ხელი და „მრავალჟამიერი" დავცხოთ. იმ წუთში ყველაფერი დალაგდება.**



**„მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი „მიმინო", მეგობრებისთვის კი უბრალოდ ბუბა, ბოლო დროს თავისი პოლიტიკური განცხადებებით გვაკვირვებს. მისმა კრიტიკამ საბჭოთა ღერბის მიმართ გამოხმაურებათა „ქარიშხალი" გამოიწვია, თუმცა, რასაკვირველია, როგორც ხდება ხოლმე, უსიამოვნო ამბები ჩაივლის და გულში მაინც სუფთა, გულწრფელი „ჩიტო-გვრიტო" და „წლები ჩემი სიმდიდრეა" რჩება ვახტანგ კიკაბიძის შესრულებით. და თვითონ ისიც, ნათელი ღიმილით" — წერს რუსული გამოცემა „Комсомолская правда" და ბუბა კიკაბიძესთან ანასტასია პლეშაკოვას ინტერვიუს აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან, შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ:**

ჩვენ ვახტანგ კონსტანტინოვიჩს 80 წლის იუბილეს წინ დავურეკეთ. პირველი კითხვა ტრადიციულია: სად და ვისთან ერთად ემზადება დაბადების დღის აღსანიშნავად.

— 19 ივლისს ჩვენ ვიწრო წრეში ვიკრიბებით, ნათესავებთან ერთად ბათუმში მდებარე ჩემს სახლში, მომდევნო დღეს კი, ალბათ, რესტორანში წავალ და მეგობრებთან კარგად ჩავჯდები. ზაფხულს ბათუმში ვატარებ, სადაც 19 ივლისს ჩემი საიუბილეო კონცერტი ჩატარდება. მე ბევრი ახალი სიმღერა დავწერე. ერთი კვირის შემდეგ ბაქოში ჩავალ, სადაც სიმღერების ფესტივალი „ჟარა" უნდა გაიმართოს... შემდეგ ისევ ბათუმში. შემოდგომით თბილისში დავბრუნდები, ოქტომბერში კონცერტების ჩატარება მაქვს განზრახული, — ამბობს ვახტანგი. მის ხმას ხველა შეერია.

**— ვახტანგ კონსტანტინოვიჩ, ხომ არ გაცივდით?**

— არა, არა. იმიტომ ვახველებ, რომ 71 წელია, ვეწევი.

**— დროა, თავი დაანებოთ...**

— ექიმები ნებას არ მაძლევენ. ცხრა წლისა ვიყავი, თამბაქოს წევა რომ დავიწყე...

**— რუსეთში ხომ არ გაქვთ კონცერტები დაგეგმილი?**

— მე თქვენთან უკვე ცხრა წელია, აღარ ვყოფილვარ (სამხრეთ ოსეთის მოვლენების შემდეგ — **ავტ.**). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე რუსი ხალხი და რუსული საზოგადოება აღარ მიყვარს. გადაეცით ჩემი მოკითხვა რუსეთის ყველა მცხოვრებს. მე მათ მიმართ დიდი სიყვარულით ვარ განწყობილი.

**— თქვენს მოსკოველ მეგობრებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა, მაქვს! გუშინწინ გიორგი დანელიას ვესაუბრე. იგი თავს ცუდად გრძნობს და, სამწუხაროდ, თბილისში ჩამოსვლა არ შეუძლია. რას ვიზამთ, ჩვენ უკვე ახალგაზრდები აღარ ვართ...

**— კინოს თუ იღებთ?**

— სცენარი მაქვს დაწერილი სახელწოდებით „დიაგნოზი — ქართველები"..

**— რას ნიშნავს ასეთი დიაგნოზი?**

— სამედიცინო დიაგნოზია. მე დამისვეს. მე ხომ ქართველი ვარ (იცინის). ჯერ კიდევ 80-იან წლებში გადავიღე ორი ფილმი საკუთარი სცენარით: პირველი — კომედია „იცოცხლე, გენაცვალე!" (ოთხი ნოველისგან შედგება) და მეორე — „მამაკაცები და სხვები" (შედგება ათი ნოველისგან ცხოვრებაზე, სიყვარულზე, სამშობლოზე). ამჟამად კი ჯერ ვერ გადამიწყვეტია, ვინ იქნება რეჟისორი და რომელი მსახიობი იქნებიან მიწვეულნი გადასაღებად.

**— თქვენ ბოლო დროს ხმაურიან პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებთ...**

— კარგით, რა... აბა, რა განცხადებებს ვაკეთებ?! ვთქვი, რომ საბჭოთა ღერბი არ მომწონს-მეთქი, მაგრამ ამას მე ადრეც ვამბობდი. მე ესთეტიკა მიყვარს. მომწონს კარგი მხატვრები. როცა მხატვარი რაღაცას ხატავს, ეს ჭკვიანურად და ლამაზად უნდა იყოს გამოხატული. ჩემი აზრით, საბჭოთა ღერბი — ჩაქუჩ-ნამგალი დედამიწის ფონზე, ირგვლივ თავთავების კონით შემოვლებული, მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ მოჩანს. აი, მხოლოდ ეს ვთქვი და ამის გამო მეცნენ...

**— საბჭოთა პერიოდის ყველა ღერბი ხომ ერთმანეთს ჰგავდა? განსხვავება, ვთქვათ, საქართველოს სსრ-ის ღერბში ის იყო, რომ ჩაქუჩ-ნამგალი დათოვლილი მთების ფონზე ჩანდა...**

— ჰოდა, მეც ეგ ვთქვი. მე საბჭოური სიმბოლიკა ესთეტიკური თვალსაზრისით არ მომწონს. ჩემი ინტერვიუს შემდეგ („დოიჩე ველე", 20 ივნისი) ჟურნალისტებმა დამირეკეს და მეუბნებიან: „ვახტანგ კონსტანტინოვიჩ, რატომ ლანძღავთ საბჭოთა კავშირს? თქვენ ხომ საჭოთა პერიოდში გახდით პოპულარული". მე მათ ვუპასუხე: „მე საბჭოთა კავშირმა კი არ გამხადა პოპულარული, არამედ მე თვითონ გავხდი-მეთქი". თუ მაყურებელს და მსმენელს ჩემს კონცერტზე მოსვლა არ სურს, მას ძალით ვერ მოიყვან.

**— სხვა დრო რომ იყოს, თქვენ დისიდენტად მოგნათლავდნენ...**

— რომელი დისიდენტი მე ვარ? მე რუსეთი ძალიან მიყვარს. ჟურნალისტებს რაც უნდათ, იმას წერენ. მათ ღერბთან დაკავშირებული ისტორია, უბრალოდ, გაბერეს. ძალიან ულამაზო და მოუხერხებელი სკანდალი გამოვიდა. ამას წინათ თქვენმა ერთ-ერთმა კოლეგა ჟურნალისტმა მე ისეთი ფრაზა მომაწერა, რომელიც მე კი არა, სხვა ცუდმა კაცმა შეთხზა. რეჟისორი სტანისლავ გოვორუხინი რომ გარდაიცვალა, სადღაც ასეთი რამ გამოაქვეყნეს: „რა უნდოდა კიკაბიძეს გოვორუხინისგან?". დაუმთავრებელი ფრაზაა, მაგრამ ქვეტექსტი ასეთია: ვახტანგ კიკაბიძე სტანისლავ გოვორუხინს იმიტომ აკრიტიკებდა, რომ რეჟისორი რუსეთის ხელისუფლების მიმართ ლოიალურად არის განწყობილიო. არადა, ეს ასე არ იყო. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა. მე იგი არასოდეს გამილანძღავს, პირიქით, ვმეგობრობდით. მან თავისი სურათიც კი გამომიგზავნა, რომელიც სახლში, კედელზე ჩამოვკიდე.

**— საქართველოში როგორ აღიქმება თქვენი განცხადებები?**

— მე არ მაინტერესებს, საქართველოში ვის როგორ ესმის ჩემი ნათქვამი, ვინ როგორ ინტერპრეტაციას აკეთებს. მე ჩემი კერძო ცხოვრებით ვცხოვრობ. დავდივარ სათევზაოდ. ამას წინათ ყვარლის ტბაში შვიდკილოგრამნახევრიანი თეთრი ამური დავიჭირე. აუცილებლად დაწერეთ წონა. მეთევზისთვის წონას მნიშვნელობა აქვს — ისე, როგორც აფთიაქში.

**— ოჰო... ასეთი დიდი თევზი ანკესით?**

— საინტერესოა არა მარტო თევზის წონა, არამედ სატყუარაც: თევზი თუთით დავიჭირე.

**—თუთის ნაყოფით?**

—დიახ, მართალი ბრძანდებით. ტბის პირას თუთის ხე დგას, რომელიც შავ ნაყოფს ისხამს. მწიფობის სეზონში ნაყოფი ტბაში ცვივა, თევზი მას ჭამს. მიეჩვია. ადგილობრივმა მეთევზეებმა ეს იციან. მაგრამ თუთის ნემსკავზე წამოცმასაც ცოდნა უნდა, ეს ცოტა ძნელი საქმეა.

**—კიდევ რით ერთობით, თევზაობის გარდა?**

—ვუყურებ ამერიკულ ტელეპროგრამებს ველურ ბუნებაზე.

„КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА"
(რუსეთი)

# მე ვიქნები ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი მტერი, ვინც კი მას ოდესმე ჰყოლია!

**„მე ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი მტერი ვიქნები, თუკი რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები არ დალაგდება", — აცხადებს აშშ-ის პრეზიდენტი ტელეკომპანია CNBC-სთან ინტერვიუში.**



დონალდ ტრამპის თქმით, ის აშშ-ის პრეზიდენტებს შორის ერთ-ერთია, ვინც მოსკოვის მიმართ მკაცრ პოლიტიკას ატარებს და ამის დადასტურება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები და რუსი დიპლომატების ქვეყნიდან გაძევებაა.

**„მე გაცილებით მკაცრი ვარ რუსეთის მიმართ, ვიდრე რომელიმე სხვა პრეზიდენტი წლების განმავლობაში. გერმანიასთან დიდი ჩხუბი მქონოდა იმის გამო, რომ რუსეთისგან ბუნებრივ აირს იღებს და მილიარდობით დოლარს უხდიან. ეს არ არის პოზიტიური რუსეთისთვის. შეხედეთ სანქციებს, რომლებიც რუსეთს დავუწესე, დიპლომატებს, რომლებიც ქვეყნიდან გავაგდე და ყველაფერს, რაც უკვე გავაკეთე. ობამას მსგავსი არაფერი არ გაუკეთებია, ის მხდალი იყო რუსეთთან მიმართებაში. ნორმალური ურთიერთობები პრეზიდენტ პუტინთან და რუსეთთან პოზიტიური ფაქტია და არა ნეგატიური . თუკი ეს არ იმუშავებს, მე ვიქნები ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდი მტერი, ვინც კი მას ოდესმე ჰყოლია",** — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

# სად, რა, როდის, ვინ?

## თარიღი, მოვლენა, შეფასება

### 1937 წლის 3 ივლისს

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება „ანტისაბჭოთა ელემენტების შესახებ", რომელიც მასობრივი რეპრესიების ახალი ტალღის სიგნალად იქცა: საოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და ნაციონალური რესპუბლიკების კომპარტიის ცკ-ების მდივნებს დაევალათ ხუთი დღის ვადაში წარმოედგინათ სამეულების შემადგენლობა, აგრეთვე „დასახვრეტთა რაოდენობა"...**

### 1854 წლის 2-3 ივლისს



**შამილის მებრძოლები კახეთში შეიჭრნენ, გადაწვეს და აიკლეს შილდა და სხვა სოფლები, წაიყვანეს ტყვეები. მათ მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს რუსთა არმიის რეგულარულმა ნაწილებმა და ქართველმა მილიციელებმა. 10 ივლისს შამილმა საქართველოს ტერიტორია უბრძოლველად დატოვა.**

### 1854 წლის 3-4 ივლისს

**ღამით შამილის მოლაშქრე ლეკებისა და ჩეჩნების რაზმმა წინანდლიდან გაიტაცა პოლკოვნიკ დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და გენერალ ილია დიმიტრის ძე ორბელიანის ოჯახთა წევრები. სულ გატაცებული აღმოჩნდა 22 კაცი, ქალი და ბავშვი. ისინი ტყვეობიდან გათავისუფლდნენ 1855 წლის 9 მარტს.**

### 1610 წლის 4 ივლისს

**48-ათასიანი რუსეთ-შვედეთის არმია დიმიტრი შუისკის სარდლობით პირწმინდად გაანადგურა ჰეტმან სტანისლავ ჟოლკევსკის პოლონელ ჰუსართა 12-ათასიანმა რაზმმა.**

### 1928 წლის 4 ივლისს

**მუშაობა დაიწყო სკპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა, რომელზეც პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ სტალინმა წამოაყენა თეზისი სოციალიზმის გამარჯვების კვალდაკვალ კლასობრივი ბრძოლის გაწვევების შესახებ.**

### 1943 წლის 5 ივლის-23 აგვისტოს



**გაიმართა წარმატებული ბრძოლები კურსკის რკალზე. 5 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქები ორიოლი და ბელგოროდი. მოსკოვმა პირველი საარტილერიო სალუტით აღნიშნა ეს წარმატება.**

### 1928 წლის 6 ივლისს

**„რუსული საზოგადოებრივი კავშირის" წევრებმა გიორგი რატკევიჩმა და დიმიტრი მონომახოვმა ბომბი შეაგდეს ოგპუს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) საშვთა ბიუროში ლებიანკაზე.**

146. შაბათი, 21 ივლისი, 2018 წელი.

# დრიბლინგის დიდი ოსტატი

**ქართულ ფეხბურთს არასოდეს ჰკლებია გამორჩეული, საკუთარი ხელწერის მქონე უზადო ტექნიკის გარემარბები. ასეთთა რიცხვს სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი ნიკო ცაგარეიშვილი. ისე მოხდა, რომ სპორტული მოღვაწეობისას განსაკუთრებული ტიტულები არ მოუპოვებია, მაგრამ სტაჟიან გულშემატკივრებს არასდროს დაავიწყდებათ მისი განუმეორებელი ტექნიკა, სისწრაფე, მოხდენილი, დახვეწილი მოძრაობები და სწორი გადაწყვეტილების მიღების გასაოცარი უნარი. მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ ფეხბურთის სპეციალისტები, თანაგუნდელები, ჟურნალისტები, სპორტის მოყვარულები.**

ნიკო ცაგარეიშვილის გვარი პირველად რკინიგზის ცნობილი მეშვიდე სკოლის დორექტორის ალიოშა ცინცაძისგან გავიგე, როცა გაბრწყინებული სახით სასიამოვნო ამბავს გვამცნობდა — ჩვენი სკოლის მოსწავლე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში აიყვანესო! სულ მალე ნიკოს ფოტოსურათმა ღირსეული ადგილი დაიკავა სკოლის სპეციალურ სტენდზე.

ინტელიგენტურ ოჯახში დაბადებული ბატონი ნიკო დღესაც კლასიკური მუსიკისა და პოეზიის დიდი ტრფიალი გახლავთ. ზეპირად იცის ილია, აკაკი, ბარათაშვილი, გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო... დედა, ქალბატონი თამარი ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა, მამა — ბატონი ალექსანდრე დიდი ხნის განმავლობაში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი იყო; და თინათინი, აკადემიკოს ნიკო ჭავჭავაძის მეუღლე, თავადაც ბრწყინვალე მეცნიერი და მთარგმნელი, უფროსი ძმა ალექსანდრე — პროფესიონალი ფინანსისტი, ხოლო ნიკოს ტყუპისცალი, სევერიანი — აკადემიკოსი სოფლის მეურნეობის დარგში, მრავალი წელი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა — მან ურთულეს პერიოდში დააფუძნა და სათავეში ედგა „ქართველთა სათვისტომოს“ რუსეთში.

ცაგარეიშვილები „დინამოს“ სტადიონთან სულ ახლოს ცხოვრობდნენ — ყოფილ კოოპერაციის ქუჩაზე, რომელიც ამჟამად შოთა იამანიძის სახელობისაა. ცხადია, პატარა ბიჭები სულ სტადიონზე ატარებდნენ დროს — მატჩებზე უბილეთოდ, ერთობ ორიგინალური ხერხით შედიოდნენ — მაღალ, თითქმის სამმეტრიან ღობეზე ძვრებოდნენ მუშტაიდისა და საგურამოს ქუჩის მხრიდან. მართალია, ერთი-ორჯერ ცხენზე ამხედრებულმა მილიციელმა მწარე წკეპლა გადაუჭირა ძმებს ზურგზე, მაგრამ ეს რა მოსატანია, როდესაც ასე ახლოს ხედავდნენ ტყავის ბურთის სახელგანთქმულ ოსტატებს — პაიჭაძეს, ჯეჯელავას, ღოღობერიძეს...

როგორც ყველა ბავშვმა, ტყუპმა ძმებმაც საფეხბურთო „ნათლობა“ ქუჩაში მიიღეს - მოზარდები დაუღალავად დასდევდნენ ბურთს მაშინდელ პლეხანოვის გამზირზე, არტოს ბაღში, „პიშკევიჩისა“ და სკოლის სპორტულ მოედანზე. სევერიანი ჯერ თავისი კლასის კაპიტნად აირჩიეს, შემდეგ სკოლის, ბოლოს კი, ინსტიტუტში სწავლისას, „ტბიიჟტის“ გუნდის თავკაცი გახდა. თავდაპირველად ბიჭები ნიკოს კარში აყენებდნენ — ბურთს კარგად იჭერო.

ძმები ცაგარეიშვილები ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლშიც აიყვანეს, თუმცა, ნიკომ მოულოდნელად „შრომითი რეზერვების“ სპორტულ გუნდში მისვლა გადაწყვიტა, სადაც მწვრთნელმა რაჩიკ მკრტიჩიანმა იგი მარცხენა გარემარბად გაამწესა. სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელი იყო, კარგად გამოსდიოდა ფინტები და დრიბლინგი. მისი სპორტული კარიერაც სწორედ გუნდის „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაზე მონაწილეობას უკავშირდება 1950 წელს ქალაქ ბაქოში. ჩვენებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს. უხაროდა 17 წლის ნიკოს ნამდვილ გუნდში თამაში.

აზერბაიჯანის დედაქალაქიდან დაბრუნებულმა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი არჩევანი გააკეთა — სიმღერასა და ფეხბურთს შორის — და ამ უკანასკნელს სიყვარულმა გადაწონა.

ბედმა კი ისეთ ადამიანს შეახვედრა, რომელთანაც ურთიერთობამაც განაპირობა მისი სპორტული კარიერა — ეს გახლდათ ქართულ ფეხბურთში ცნობილი პიროვნება, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ასირ გალპერინი. მან პირდაპირ განუცხადა — შენ ჩვენს გუნდში უნდა ითამაშოო. ასე გახდა ნიკო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი, რომელიც უკვე 1952 წელს ამიერკავკასიის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს საქართველოს პირველობაზე გუნდმა სტალინური კონსტიტუციის თასი მოიპოვა: ერთნაირი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა ბათუმის „დინამო, ქუთაისის „დინამო“ და გორის „დილა“. პირველ ორ შეხვედრაში ნიკომ თითო ბურთი გაიტანა. აი, 5 დეკემბრის ფინალურ მატჩში, „დინამოს“ სტადიონზე, სამივე გოლი ნიკოს ანგარიშზე იყო! გამარჯვებულთა გუნდის ღირსებას იგი კარლო ყრუაშვილის, გიორგი ბაქანიძის, კოტე მესხის, გივი („თაქლა“) თავაძის, ოთარ კიშინსკისა და სხვათა გვერდით იცავდა.

კონსტიტუციის თასის ფინალის შემდეგ გასახდელში შევიდა სტადიონის თანამშრომელი, შემდგომში ცნობილი ფოტოხელოვანი, ბატონი კონსტანტინე შანიძე, რომელმაც ნიკოს მიმართა: **„მატჩს ესწრებოდა მიხეილ იაკუშინი (თბილისის „დინამოს“ მაშინდელი მწვრთნელი). ახლა სასწრაფოდ ჩაიცვი, დიდიძესთან გთხოვენო“**.

ვახტანგ დიდიძე იმ პერიოდში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარე გახლდათ. მის კაბინეტში შესულს დახვდნენ ბორის პაიჭაძე (ნიკო დღესაც არ ივიწყებს მის მხარდაჭერას), მიხეილ იაკუშინი, მიხეილ მინაევი. მცირე გასაუბრების შემდეგ ნიკოს ჰკითხეს — მშობლები უარს ხომ არ გეტყვიან, „დინამოში“ რომ წამოხვიდეო. შემდეგ იაკუშინმა ხუმრობით დაამატა — განცხადების წერა თუ შეგიძლიაო. ყველას გაეღიმა... და იმ დღიდან ახალგაზრდა ფეხბურთელი „დინამოში“ აიყვანეს — დუბლებში, სადაც თამაშობდნენ შოთა კიტია. თამაზ ჯანელიძე, ოთარ ოთარაშვილი, ზურაბ სოტკილავა, იური უსტაბაშვილი, მელორ არშბა და სხვები. 1953 წლის 5 იანვარს ნიკო ცაგარეიშვილი პირველივე ვარჯიშზე შეხვდა იმ ხალხს, ვისაც ტაშს უკრავდა და ეთაყვანებოდა, ვის გამოც მრავალჯერ განუცდია სიხარულისა და სიამაყის გრძნობა. სწორედ მაშინ გაიცნო ახლოს ნიაზ ძიაპშპა, ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, იბრაჰიმ სარჯველაძე, რევაზ მახარაძე და, რასაკვირველია, ავთანდილ ღოღობერიძე.

1953 წლის იანვრის ბოლოს იაკუშინმა დილის ბაზაზე დინამოელები ორი შემადგენლობით ათამაშა. მეთერთმეტეკლასელი ნიკო ნახევარმცველად დააყენა და რეზო მახარაძის მეურვეობა დაავალა, თან დასძინა: **„რეზო სწრაფი ფეხბურთელია, ენერგიული, ფინტები ეხერხება, გასაქანი არ მისცე, ბურთი არ მიალებინო“**... თამაშისას მახარაძემ გუნდის კაპიტანს შესჩივლა: **„ბასა (ღოღობერიძე), რავა ყველა გიჟი ჩვენთან მოყავთ, ფინიასავით ტრიალებს ჩემს ფეხებთან!“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნიკოს დებიუტმა ფრიადზე ჩაიარა. შეხვედრის შემდეგ კი უკვე მ.მინაევმა უთხრა: „ყველაფერი რიგზეა, ასე გააგრძელე!“**

ლესელიძეში, საზაფხულო შეკრებაზე სურდათ ნიკოს წაყვანა, მაგრამ სკოლის დირექტორმა მის გაშვებაზე უარი უთხრა მასთან მისულ ბორის პაიჭაძეს — დაამთავროს სკოლა და მერე სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთ; პედაგოგის შვილია და აბა, რა მაგალითს მივცემთ მის თანაკლასელებსო. დაბრუნდნენ თუ არა დინამოელები შეკრებიდან, ნიკოც მაშინვე შეუერთდა გუნდს.

ნიკო ცაგარეიშვილი დღესაც დიდი პატივისცემით იგონებს გამოჩენილ მწვრთნელ მ. იაკუშინს.

1953 წლის ჩვენთვის საერთოდ ტრაგიკულ ჩემპიონატზე სხვა დროს შეიძლება ვრცელი საუბარი. 6 ოქტომბერს, მოსკოვში „ტორპედოსთან“ იმ მატჩში, როცა დინამოელებმა დაამარცხეს მასპინძლები და გაჩნდა ოქროს მედლების მოპოვების რეალური შანსი, ნიკო ცაგარეიშვილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ის იყო უნდა შეეცვალა ალიოშა კოტრიკაძე, რომ სტადიონზე ხულიგნური გამოხდომები დაიწყო, რის გამოც თამაში დიდი ხნით შეწყდა. ნიკომ ისიც გაიხსენა, თუ როგორ გამოეკიდა მოედანზე გადმოსულ ხულიგანს იაკუშინი და თავისი ხელით დააკავა... შემდგომი ამბები კი ყველასთვის კარგადაა ცნობილი — მოსკოველი ქომაგების უსაქციელობის გამო „დინამოს“ მეორე დღეს გადათამაშება დაუნიშნეს, წააგებინეს და სსრკ-ს ჩემპიონად მოსკოვის „სპარტაკი“ გამოაცხადეს.

1954 წლის საფეხბურთო სეზონის გახსნას მოუთმენლად ველოდით, — 8 აპრილს თითქმის მთელმა სკოლამ (რასაკვირველია, ვისაც ბილეთი ერგო) სტადიონს მიაშურა. ნიკო ცაგარეიშვილმა პირველად ითამაშა „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში — მოსკოვის „ლოკომოტივთან“ 4:2 მოვიგეთ. 4 აგვისტოს თბილისელებმა ხარკოვის „ლოკომოტივს“ უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით 7:1 სძლიეს. იმ დღეს ნიკომ სამი ბურთი გაიტანა. მრავალსიმნახველი თბილისელი გულშემატკივრის წინაშე „დინამოს“ მაისურით პირველად გამოსვლა წერილის გმირს დღესაც სასიამოვნო, ამავე დროს ამაღელვებელ გრძნობას ჰგვრის...

1954 წლის 14 აგვისტოს ნ. ცაგარეიშვილმა მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა კიეველ თანაკლუბელთა წინააღმდეგ. შეხვედრის დღეს, დილის მოთელვაზე უფროსმა მწვრთნელმა ბორის პაიჭაძემ იკითხა, თუ ვინ გრძნობდა თავს შეუძლოდ. იბრაჰიმ სარჯველაძემ, რომელსაც ფეხი აწუხებდა, განაცხადა, რომ თამაში გაუჭირდებოდა. ჩვენს გუნდში იმ დროისთვის მოსკოვიდან დაბრუნებულმა მეკარემ ვალტერ სანაიამ უცებ ხელი ნიკოსკენ გაიშვირა: „სოლომონოვიჩ, აგერ „გამოცდილი“ მეოთხე ნომერი, ჩვენი ნიკუშა, ეს ამოკეტავს „გრამატიკას“ (ასე ეძახდნენ იური გრამატიკოპულოს). ნიკომ ეს ხუმრობად მიიღო, თუმცა, შეხვედრა ფრიადზე ჩაატარა — მთელი 90 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოახერხა კიეველმა მისი დაჯაბნა, ისიც თამაშის დასაწყისში. სტუმართა გუნდის კაპიტანი ანდრო ზაზროევი უყვიროდა გრამატიკოპულოს — იურა, მომეცი პასი, ხომ ხედავ, ვერ ატყუებ „ოთხიანსო“.

1955 წლის საფეხბურთო სეზონის დასაწყისში ნიკომ და არჩილ კილაძემ მოწვევა მიიღეს კიევის „დინამოდან“, თუმცა, კილაძეს არ მისცეს თბილისის „დინამოდან“ წასვლის უფლება. ნიკო კიეველებთან ერთად გაგრაში ემზადებოდა და პირველ საწვრთნელ შეხვედრაში სათადარიგო შემადგენლობაში ათამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ. ნიკომ რამდენიმე საუკეთესო პასი მიაწოდა პარტნიორებს, თუმცა, მათ ვერ შეძლეს გოლის გატანა.

მალე ნ. ცაგარეიშვილი თბილისის „ლოკომოტივში“ ჩარიცხეს, სადაც საქართველოს ჩემპიონი გახდა. 1957 წელს კი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის გუნდის შემადგენლობაში საკავშირო თასის მფლობელის ტიტული მოიპოვა და სპორტის ოსტატის წოდებაც მიენიჭა.

ნიკო ცაგარეიშვილი გამოდიოდა ტალინის „კალევში“, ქუთაისის „ტორპედოს“, ახალციხისა და ტყიბულის გუნდებში; „მეშახტეში“ თამაშისას საქართველოს თასის მფლობელი გახდა; სპორტული მოღვაწეობა მან 1965 წელს დაასრულა. მას შემდეგ 31 წელი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იმსახურა და პოლკოვნიკის ჩინით დაასრულა შრომითი კარიერაც, რისთვისაც ღირსების ორდენის კავალრის წოდება აქვს მინიჭებული.

ბატონ ნიკოს მრავალრიცხოვან მეგობართა შორის გამორჩეულად უყვარდა ნოდარ ახალკაცი, ვისთანაც რამდენიმე ათეული წელი ოჯახით იყო დაკავშირებული. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ნიკოზე ძალიან იმოქმედა. დღე არ გავა, „ფეხბურთის მაესტრო“ არ გაიხსენოს.

წერილის დასასრულს ნიკოს თანაკლასელის, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელის მერაბ იაშვილის სიტყვები მსურს გავიხსენო: **„როგორც ბორის პაიჭაძის თამაშის სანახავად დადიოდნენ გულშემატკივრები, ისე დადიოდნენ ნიკო ცაგარეიშვილის თამაშის სანახავადაც და ეს სულაც არ გახლავთ გადამეტებული შედარება. იგი თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბი გახლდათ, დრიბლინგის ნამდვილი ოსტატი. შეეძლო მეტოქის 4-5 ფეხბურთელი მოეტყუებინა და ლამაზი გოლი ეჩუქებინა გულშემატკივრისთვის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბურთი ფეხზე ჰქონდა მიწებებული. არაერთ სტადიონზე მოუთხოვიათ მაყურებლებს ნიკოს გამოჩენა და როგორც კი მინდორზე გამოვიდოდა, მთელი სტადიონი ერთხმად გაჰყვიროდა — მიდი ნიკო, მიდი! მისი თამაში აღფრთოვანებას იწვევდა. მას ჰქონდა უხეში ფეხბურთელების დათრგუნვის უნიკალური უნარი. საოცრად დისციპლინირებული და სამართლიანი გახლდათ.“**

ჩვენი უფროსი მეგობარი ნიკო ცაგარეიშვილი უაღრესად კეთილი პიროვნებაა, მეგობრებისთვის თავდადებული, ყურადღებიანი და თბილი მამა და ბაბუა; ქალბატონი ნანულიც აგერ უკვე 50 წელია მასთან ერთად უძღვება სტუმართმოყვარე ოჯახს.

**დღეს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, ღირსების ორდენოსან ნიკო ცაგარეიშვილს დაბადებიდან 85 წელი უსრულდება. ვულოცავთ იუბილეს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ღირსეულ პიროვნებას!**

**დემიკო ლოლაძე**



მარჯვნიდან: ნოდარ ახალკაცი, ნიკო ცაგარეიშვილი, გივი ნოდია

# ბურჯი მეგობრობისა



გენერალ დემურ მიქაძის ცხოვრების მიზანი სამშობლოსათვის, ქვეყნისათვის, მისი ხალხისათვის ზრუნვა იყო, საკუთარ მიწა-წყალზე ფიქრი და მისთვის თავდადებული შრომა. არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრების მრწამსად ქვეყნისადმი ერთგულ სამსახურს ირჩევენ და გულმხურვალედ მისდევენ დასახული მიზნის აღსრულებას. ეს წერილი 75 წლის დემურ მიქაძეს ეხება, რომელიც დღეს აღარ გვყავს. პიროვნებას, რომელიც ყმაწვილკაცობიდან მოკიდებული თავდახრილი, მოკრძალებითა და ერთგულებით ემსახურებოდა დასახულ მიზანს. საკმაოდ საინტერესოდ განვლილ ცხოვრების გზაზე ბევრი ტკბილმწარე დღე გამოიარა, ბევრი კარგიც ნახა და არანაკლები სირთულეც, მაგრამ მშობელი მიწისათვის არასოდეს უღალატია. 75 წელი ისტორიისათვის ერთი ამოსუნთქვაა, ადამიანისათვის კი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ცხოვრებისა. სწორედ ამ ასაკში ხდება ამა თუ იმ პიროვნების ნაღვაწ-ნაშრომის შეფასება. რა შეიძლება ითქვას დემურ მიქაძეზე მისი გარდაცვალების შემდეგ?

დაიბადა 1942 წლის 8 ოქტომბერს იმერეთის ერთ ლამაზ ქალაქში — სამტრედიაში. ეს დიდი სამამულო ომის პერიოდი იყო. მამა ომში წავიდა და მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დედასაც, გარკვეული მიზეზების გამო, მოუხდა ოჯახის (მცირეწლოვანი შვილის) დატოვება და, ფაქტობრივად, ობოლი დემურის მფარველად ბებია და ბაბუა (აგრაფინა ჭითავა და გიორგი მიქაძე) მოევლინა. მათ ერთგული მშობლობა გაუწიეს ყრმა დემურის, ყოველგვარად ცდილობდნენ მისთვის ობლობის ხვედრი, უდედმამობის ტკივილი შეემსუბუქებინათ. ასეთი მზრუნველობა დემურ მიქაძეს საშუალებას აძლევდა კარგად ესწავლა, ტოლ-ამხანაგებში ღირსეული ადგილი ჰქონოდა. თუ დავამატებთ იმასაც, რომ ყმაწვილკაცობიდან სწავლასთან ერთად სპორტს მისდევდა და წარმატებებიც ჰქონდა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მოწინავეთა რიგებში იყო.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებდა დემურ მიქაძე სკოლას, სადაც იგი სწავლობდა, პედაგოგებს, განსაკუთრებით ქართული ენისა და რუსული ენის მასწავლებლებს, ადამიანებს, რომლებიც პროფესიული მასალის გადაცემასთან ერთად მოსწავლეებს ღირსეულ მოქალაქეებად ზრდიდნენ. ნიშანდობლივია, რომ დემურის სპორტულმა წარმატებებმა თავისი რეალური ასახვა პოვა ცხოვრებაში — ჩაირიცხა სამტრედიის „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობაში. გარკვეული დროის შემდეგ ამ გუნდის ძირითადი წევრი გახდა. ამით ახალგაზრდის განათლების გზა სპორტისკენ წარიმართა — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა (1958 წელი). აქ დემური ბიძასთან — მამის ძმასთან გრიგოლ კოტრიკაძესთან (არ გაგიკვირდეთ: დემურის მამა კოტრიკაძე იყო. მიქაძედ გამზრდელმა ბებიამ და ბაბუამ ჩაწერეს და აღსრულებამდე უდიდესი პატივისცემითა და სიამაყით ატარებდა ამ გვარს) ცხოვრობდა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დემურ მიქაძე ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯერ ეკონომიკის და შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტებს (დაუსწრებლად). საგულისხმოა, რომ დემური სპორტულ საქმიანობას თბილისში აგრძელებს. წვრთნას გადის შესანიშნავი ფეხბურთელის ვ. ელოშვილის ხელმძღვანელობით. თამაშობს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მარნეულის რაიონის სპორტული კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა (საგულისხმოა, რომ მისი რეკომენდატორი ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე გახლდათ). ქვემო ქართლის ამ მეტად მნიშვნელოვან კუთხეში დემურ მიქაძემ ფართო საქმიანობა გაშალა, მალე იგი რაიონის კომკავშირის რაიკომში განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, შემდეგ კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. აქ მან ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა — რაიონი მოწინავეთა შორის წარმოჩნდა მთელს რესპუბლიკაში. შემდეგი კარიერული გზა პარტიის რაიკომისაკენ წარიმართა — დაამტკიცეს მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, სამი წლის საქმიანობის შემდეგ კვლავ დადგა საკითხი — დემურ მიქაძე არჩეულიყო პარტიის მარნეულის რაიკომის მდივნად.

აი, როგორ იგონებს ერთ თავის წერილში აკადემიკოსი როინ მეტრეველი — დემურ მიქაძის უპირველესი მეგობარი, ამ შემთხვევას:

— „იმხანად მე მაღალპარტიულ სამუშაოზე ვმუშაობდი და კადრებთან დაკავშირებული პრობლემებით გახლდით დაკავებული. წარმოადგინეს დემურ მიქაძის კანდიდატურა რაიკომის მდივნად ცენტრალურ კომიტეტში და შემდეგი პროცედურები (ძირითადად ხელმძღვანელობასთან გასაუბრება) მე უნდა წარმემართა. გარკვეულ დონეზე წარმატებით დასრულდა გასაუბრების ეტაპი და დადგა პირველ პირთან შეხვედრის საკითხი. მე მოვახსენე ვასილ მჟავანაძეს დემურ მიქაძის ანკეტური მონაცემები. დეტალურად ვუამბე, რომ უდედმამოდ, ობლობაში გაიზარდა-მეთქი. ამ ამბავმა „პირველზე“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, გული აუჩუყდა, სიგარეტი (ეწეოდა „ფილიპ-მორისს“, თუმცა იშვიათად) ამოიღო და აღელვებულმა თავისთან გამოიძახა დემური. ესაუბრა საოცრად თბილად. მოკლედ გამოჰკითხა რაიონის შესახებ და შემდეგ ნაცვლად პარტიული განაწესის მიცემისა, ჩემთვის, უფრო მეტად დემურ მიქაძისათვის, გასაკვირად თბილი დარიგება მისცა:

მე მომახსენეს შენს შესახებ და უთუოდ მხარს დაგიჭერ, ერთი რამ კი კარგად დაიმახსოვრე — ბებია და ბაბუა, რომლებიც სამტრედიაში არიან, არ დაივიწყო. ხალხი გიყურებს და ისე მოიქეცი, რომ იმათ არაფერი აწყენინო. არ მიატოვოთ სამტრედიაში თქვენი ოჯახი — ბებია, ბაბუა; ისე მოახერხე, რომ ორ კვირაში ერთხელ მოინახულე ისინი, თუ შენ ვერ მოახერხებ, მეუღლე (მჟავანაძემ ტერმინი „ოჯახობა“ გამოიყენა) გააგზავნე. მათი ამაგი არ დაივიწყოთო. ვფიქრობ, ეს სიტყვები დემურ მიქაძისთვის მუდმივ საგზლად იქცა ცხოვრების მთელ მანძილზე“.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქვეყანაში დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში პარტიული და კომკავშირული მუშაკების გადაყვანა. მარნეულის პარტიის რაიკომის მდივანი დემურ მიქაძე დაინიშნა რესპუბლიკის სოციალისტური საკუთრების დაცვისა და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს განყოფილების უფროსად. აქედან დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში მისი კარიერულ კიბეზე სვლა. რამდენიმე საფეხურით ამაღლდა და გენერლის ჩინი მიიღო. თანამდებობრივად თბილისის პოლიციის უფროსი იყო და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა. დემურ მიქაძის შინაგან საქმეთა ორგანოებში საქმიანობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა და დაბეჭდილა. ამიტომ ჩვენ მასზე დეტალურად არ შევჩერდებით. დემურ მიქაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისში გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ უკანონო ფორმირებების წინააღმდეგ, რომლებიც ერთმანეთს იყვნენ დაპირისპირებული, ამ დაპირისპირებას კი არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა. დემურ მიქაძე თითქმის ყოველდღე გამოდიოდა პრესით, ტელევიზიით, რადიოთი. მოუწოდებდა ახალგაზრდების მშობლებს, მიეხედათ თავიანთი შვილებისათვის. დაპირისპირებულთა მამებს მოუწოდებდა, გამოენახათ ერთმანეთში საერთო ენა, ზემოქმედება მოეხდინათ შვილებზე.

სამოქალაქო ომის დროს დემური აქტიურად ჩაება შეიარაღებული დაპირისპირების ჩასაცხრობად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დემურ მიქაძის მონაწილეობა ქართულ-აფხაზური დაპირისპირებისას სოხუმის დაცემის შემდეგ; ჭუბერის უღელტეხილზე თოვლსა და ყინვაში გაუსაძლის პირობებში ლტოლვილთა გადმოყვანაში. მისი ღვაწლის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავდა იმდროინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ფაცაცია, რომელიც ასევე უშუალოდ მონაწილეობდა ამ მისიაში.

დემურ მიქაძეს ღირსეული ოჯახი დარჩა. მეუღლე მანანა მოსიძე, უკეთილშობილესი ადამიანი, ერთგული მეოჯახე, მოყვარული მეუღლე, სანიმუშო დედა და ბებია (უკვე დიდი ბებიაცაა), იგი მედიცინის დარგის მუშაკია და ათეული წლების მანძილზე ღირსებით ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეს. ჰყავს ორი შვილი — გიგი და ხათუნა. ორივე დაოჯახებულია.

განსაკუთრებული იყო დემურ მიქაძე სამეგობროში, იგი ყველას შემკრები, ყველას გვერდში მდგომი, ყველას მოყვარული და ნებისმიერი კეთილი ქმედებისათვის მზადყოფნაში მყოფი. დემურ მიქაძე გამორჩეული იყო გაწონასწორებული ხასიათით, იგი საზოგადოების სიყვარულს იმსახურებდა თავაზიანობის, მხიარული და უწყინარი ზნის გამო, ყოველთვის ამჟღავნებდა განსაკუთრებულ სითბოს კოლეგების მიმართ, ფლობდა ადამიანთან ურთიერთობის დიდ ხელოვნებას.

**როინ მეტრეველი, ოთარ კვესიტაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ოთარ ფაცაცია, ავთანდილ ჯორბენაძე, ანზორ ბურჯანაძე, ვალერი ასათიანი, რამაზ ხეცურიანი, რამაზ ხუროძე, თემურ ხუროძე, რეზო თევზაძე, ნუგზარ ფოფხაძე, დემურ ბაღდავაძე, გრიშა ონიანი, დიტო სარდანაძე, ვახტანგ ოყროშიძე, სიმონ ნეფარიძე, სიმონ მაჭავარიანი.**

---

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ განსაკუთრებულ გულისტკივილს გამოხატავს ჩვენი გაზეთის ძველი მეგობრისა და ავტორის

## დემურ მიქაძის

გარდაცვალების გამო.

დემურ მიქაძე ჭეშმარიტად მებრძოლი მამულიშვილი იყო. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში (70-იანი წლებიდან) იგი დარაჯად ედგა თავის საყვარელ სამშობლოს. რაც მთავარია, ჩინითაც გენერალი, იგი კაცობის, ადამიანობის, ქართული სულის გენერალი იყო და ასეთად დარჩება მადლიერ თანამედროვეთა ხსოვნაში.

მშვიდობით, ძვირფასო დემურ, შენ მარტო სიკვდილი თუ მოგერეოდა!

---

## სანთელი



მეუღლე მანანა მოსიძე, შვილები ხათუნა, გიგი მიქაძეები, დები ნაზიკო კოტრიკაძე, მარინა მოსიძე, სიძე სანდრინო ჭუმბურიძე, რძლები სოფო კალანდაძე, თამარ ბალავაძე, შვილიშვილები თეგა, გიგი ჭუმბურიძეები, სალომე, ანა, დემიკო მიქაძეები, შვილთაშვილი ნინუ ჭუმბურიძე, მძახალი თენგიზ ჭუმბურიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### დემურ გიორგის ძე მიქაძე

პანაშვიდი 21 VII, 17 სთ;

მისამართი: სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის №43, გამოსვენება 22 VII, 15 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

---

გრიშა ონიანი ოჯახით იუწყება და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა

### დემურ მიქაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლუიზა, როინ, ნინო, ვიკა მეტრეველები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი

### დემურ მიქაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რამაზ ხუროძე, მანანა ჩხარტიშვილი, თემურ ხუროძე, მანანა კერესელიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ძვირფასი მეგობრის

### დემურ მიქაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

თინა (სუსანა), ნინო, ანზორ ბურჯანაძეები, ბადრი, ანზორ, რევაზ ბიწაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის

### დემურ მიქაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ კუჭუხიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული მეგობრის

### დემურ გიორგის ძე მიქაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ხსოვნა

# თაობის გამორჩეული შვილი



**იშვიათად**, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავზე წინ მის საყვარელ საქმეს აყენებენ, რითაც დიდ სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებენ.

მოვიდა რა პარტიული ორგანოებიდან, სრულიად ახალგაზრდა **დემურ მიქაძემ** რიგითი ოპერატიული მუშაკიდან, დაუღალავი შრომით მიაღწია ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე...

მტკიცედ იდგა რა ქვეყანაში კანონიერების სადარაჯოზე, თავის თანაგუნდელებთან ერთად ყოველთვის აღწევდა წარმატებებს, რითაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში.

დემურ მიქაძემ მთელი თავისი შესაძლებლობები გამოავლინა ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობისას. ვისაც კი ოდნავ მაინც შეხება ჰქონია 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ პირობებთან, კრიმინალურ აფეთქებებთან და ძმათამკვლელ ომთან, არ დაავიწყდება სამთავრობო კომისიაში დემურ მიქაძის აქტიური საქმიანობა, კერძოდ აფხაზეთიდან დევნილ და ჭუბერის გზაზე ლტოლვილთა დაცვის საქმეში გაწეული ტიტანური დაცვითი საქმიანობა. მისი უშუალო აქტიურობით ბევრი ლტოლვილის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი.

დემურ მიქაძის ცხოვრებისეულ ბიოგრაფიაში მრავალი ისეთი ფაქტია, როცა ის მძიმე და გამოუვალი მოვლენების შუაგულში იმყოფებოდა და იმედით აღავსებდა თავის გვერდში მყოფ თანამებრძოლებს და დიდი პროფესიონალიზმით წარმართავდა მათ საქმიანობას. იგი თავისი თაობის თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ და ამით მიაღწია საზოგადოებაში დიდ აღიარებას და შესანატრ პოპულარობას.

დემურ მიქაძის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა თავზარდამცემი იყო როგორც ოჯახის წევრებისთვის, ისე მისი ახლობლების, ნათესავების, თანამებრძოლების, მეგობრებისა და სრულიად საქართველოს ყველა იმ მოქალაქისთვის, ვისაც კი რაიმე ნაცნობობა აკავშირებდა მასთან.

დიდი მწუხარებით შევთხოვთ უფალს ნათელში, მართალთა შორის დაამკვიდროს მისი სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანთა სახელით

**გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, კობა ნარჩემაშვილი, ჯემალ გახოკიძე, ვახტანგ გვარამია, თემურ მურღულია, ზურა ჩხაიძე, შოთა ასათიანი, თენგიზ შოშიაშვილი, ჯუმბერ სურმავა, ჯემალ ჯანაშია, გივი ლომინაძე, გივი ნაცვლიშვილი, გურამ ახალაია, ზურა მაჩაიძე, ვასილ დავითაია, თენგიზ შუბლაძე, თეიმურაზ ლორია, ალეკო მიქაბერიძე, ტიტე ლეფსაია, გრიშა შონია, ილია შონია, ელგუჯა ჯამბურია, ნუგზარ ღამბაშიძე, ლევან კენჭაძე, თორნიკე აფაქიძე.**

ხსოვნა

ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, კაცობის და მეგობრობის ეტალონი, სიკეთით, სიყვარულით, თანადგომის ნიჭით გამორჩეული რაინდი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

## დემურ მიქაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი უღრმესი გულისტკივილითა და მწუხარებით იუწყებიან, რომ ქვეყანას გამოაკლდა საქართველოს მართლწესრიგის დაცვის ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეული წევრი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების პირველი ვიცე-თავმჯდომარე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, დედაქალაქის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს ყოფილი თავკაცი, სახალხო გენერალი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატი, უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

## დემურ მიქაძე

და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის ყველა წევრსა და ახლობლებს.

---

ზიზი ანთელავა, დალი, ვახტანგ, გიორგი ბერულავები, თეა ვახანია, გიორგი ჩიქავა ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაინდული სულის მქონე უკეთილშობილესი პიროვნება, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილი, ცნობილი ქველმოქმედი და ყველას უანგაროდ დამხმარე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი, კაცი-ლეგენდა

## დემურ მიქაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებსა და ყველას, ვისაც გული დასწყვიტა მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ.

---

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჩვენი ოჯახის უახლოესი პიროვნების, სახალხო გენერლისა და ვალმოხდილი მამულიშვილის, ბატონ

## დემურ მიქაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის უსათნოეს მეუღლეს, ქალბატონ მანანას, შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს.

---

კუკური მეფარიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა გენერალი

## დემურ გიორგის ძე მიქაძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

◎ სულიერება

# მარიამ ღვთისმშობლის „ყაზანის ხატის“ დღესასწაული



**21 ივლისს** საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყაზანის ხატის“ გამოცხადების დღეს.

აღსანიშნავია, რომ ყაზანში ღვთისმოსავ გოგონას — მატრონას ძილში გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და უთხრა, რომ მისი ხატი მიწიდან ამოეთხარათ. ბავშვმა ამის შესახებ ეპისკოპოსს და ქალაქის თავს ამცნო, თუმცა მათ მონათხრობი ყურად არ იღეს. მაშინ მატრონამ და მისმა დედამ საკუთარი ხელით გათხარეს მითითებული ადგილი.

საგულისხმოა ისიც, რომ ქალაქის სამღვდელოებამ ხატი ჯერ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, შემდეგ კი ხარების ტაძარში გადააბრძანა, ამის შემდეგ იგი მრავალ სასწაულს აღასრულებს, განსაკუთრებით ხშირია მის წინაშე ბრმათა განკურნება.

...კარგა ხნის შემდეგ გაირკვა, რომ ეს ხატი წმიდა ლუკა მახარებელმა დაწერა. აღსანიშნავია, რომ ამ სიწმინდის მიერ მოქცეული მატრონა მონაზვნად აღიკვეცა, ხოლო შემდეგ მონასტრის წინამძღვარი გახდა.

**გიული ლიპარტია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი, ამაგდარი პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი, ერთგული მეგობარი და კოლეგა

## გიული ძიძიგური

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკადემიკოს კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგს მარინა ჭაჭიას გარდაეცვალა დედა, დამსახურებული პედაგოგი

## ლეილა ჩარგეიშვილი-ჭაჭია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# გარდაბნის ტბაში მამაკაცი დაიხრჩო

**გარდაბნის** მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის ტერიტორიაზე არსებულ ტბაში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო.

არსებული ცნობით, მამაკაცი ტბაში საბანაოდ შევიდა და ნაპირზე გამოსვლა ვეღარ შეძლო.

# თბილისში ავარიისას დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი დაიღუპა

**ინციდენტი** მარშალ გელოვანის გამზირზე მოხდა.

არსებული ინფორმაციით, დასუფთავების მანქანას მიკროავტობუსი შეეჯახა, რის შედეგადაც „თბილსერვისის“ ერთი თანამშრომელი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე თანამშრომელი და მიკროავტობუსის მძღოლი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 95 100 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 63 758 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6 375,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 576 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „ხაშური“ ჰესის არეალში, პროექტის განხორციელებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგვეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, ,,ჭალისუბნის“ ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია, $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 303 210 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგვეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 203 281 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 20328.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 20 528 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული |

| | | |
|---|---|---|
| | | სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩანგილარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 42 030 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩანგილარის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 31 988 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 3198.8 ლარი |
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 399 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №4** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის |

| | | |
|---|---|---|
| | | მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ილტოს ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 000 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 45 665 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 4566.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 767 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 21 აგვისტოს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
